საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუნი სიფფვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 30 აგვისტო. 2018 წ. №171 (8572) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ისევ გვჭირდება რისხვით შეპრული მუშტი



სამართალმა პური ჭამა... 20 წლის შემდეგ,

③

ანუ ჰოლანდიური გაკვეთილი საქართველოსთვის

ყალბი მოტირალნი, ნარკოტურისტები და პრეზიდენტობის 31 კანდიდატი



④

ჩვენს „პოლიტიკოსებს“ პრესა სძულთ!

ნინო ბურჯანაძე:

2008 წელს ოპოზიცია მიეყიდა სააკაშვილს... მილიონებზე ევაჭრებოდნენ კაბინეტში...

2008 წელს ოპოზიცია სააკაშვილს მიეყიდა, – ამ განცხადებას „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი **ნინო ბურჯანაძე** 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრისას აკეთებს. ბურჯანაძე ამბობს, რომ 2008 წლის არჩევნებს არაფრით ჯობია არც ერთი სხვა არჩევნები, რომელიც საქართველოში ჩატარდა.

ბურჯანაძე, რომელიც იმ დროისთვის პარლამენტის თავმჯდომარე იყო, „ტვ პირველის“ პირდაპირ ეთერში ამბობს, რომ მაშინ მან ოპოზიციას ბოლომდე ბრძოლა შესთავაზა, თუმცა ისინი სააკაშვილს მიეყიდნენ და „მილიონებზე ევაჭრებოდნენ კაბინეტში“.

ნინო ბურჯანაძის თქმით, ის მზად არის, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენებაც მისცეს და გვარებიც დაასახელოს იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება დაიწყება.

მამუკა ბახტაძე:

სამართლიანი ეკონომიკური წესები სექტემბრიდან ამოქმედდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ძალიან პრინციპული და სამართლიანი ეკონომიკური წესების დამკვიდრებისკენ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს ახალ რეგულაციებს, რომლებიც წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100-დან 50%-მდე შემცირებას გულისხმობს და სექტემბრიდან ამოქმედდება.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საზოგადოებისთვის ცნობილია მისი განწყობა, თუ რამხელა ზიანი მოუტანა უპასუხისმგებლო დაკრედიტებამ მოსახლეობას და ეკონომიკას.

– ჩვენ მივიღეთ ჭარბვალიანობა, როგორც პრინციპული პრობლემა, რომელიც მომავალში შეიძლება გადაიქცეს სისტემურ პრობლემად. აქედან გამომდინარე, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება სხვა ნაბიჯებიც. მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთად შეიმუშავა და ძალაში შევიდა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სისტემა, რომელიც ვფიქრობ, მნიშვნელოვანწილად გამოასწორებს იმ ძალიან მავნე პრაქტიკას, რომელიც ჩვენ ამ სექტორში მივიღეთ. რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი და ახალ ინიციატივებს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით აუცილებლად განვახორციელებთ, – განაცხადა პრემიერმა.

სერგეი შამბა:

თუ კრიზისიდან არ გამოვალთ, მუხლებზე დავდგებით და საქართველოს ან რუსეთის თავიანთ შემადგენლობაში მიღებას ვთხოვთ!

⑧

ვის ემუქრება საჯიმბა?!

არავის მივცემთ უფლებას, ჩვენს სუვერენიტეტთან, შიდა და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებლური ტონით გვესაუბროს!

ნათელა იანქოშვილი – 100

⑥

შავი და მწვანე ფერით ალაპარაკებული საოცარი სამყარო

გელა ქოქიაშვილი:

ილია ზაქაიძის კოსმოსური „ჩაკრულო“

⑦

უსაფრთხოების მაკოორდინირებელი საბჭო მალე შეიქმნება

უსაფრთხოების მაკოორდინირებელი საბჭოს კონცეფციის ჩამოყალიბებაზე კონსულტაციები მიმდინარეობს და კონცეფციის შედგენაში სტრატეგიული პარტნიორები გვეხმარებიან – ასე უპასუხა პრემიერმა კითხვას, თუ როდისთვის იგეგმება უსაფრთხოების მაკოორდინირებელი საბჭოს შექმნა, ვინ იქნება მის შემადგენლობაში და როდიდან დაიწყებს უწყება ფუნქციონირებას.

„ჩვენ განვაცხადეთ, რომ ზაფხულში ვიმუშავებდით ამ საკითხზე და გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს შემოდგომაზე. დიახ, ამ საკითხზე მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები გვეხმარებიან ამ კონცეფციის შემუშავებაში და ბუნებრივია, პარლამენტში, ჩვენს პოლიტიკურ გუნდთან ერთად წარვსდგებით ამ ინიციატივით. იქ უკვე ყველას ექნება საშუალება, რომ გვქონდეს კომუნიკაცია და მივიღოთ ისეთი ორგანო, რომელიც იქნება სრულ თანხვედრაში იმ სტანდარტებთან, რომლისკენაც საქართველო მიისწრაფის. ეს არის ევროპული და ნატოს სტანდარტები“, – განაცხადა გუშინ ბახტაძემ.

საქართველო და უკრაინა კიდევ უფრო დაახლოვდნენ...

საქართველოსა **და უკრაინის მოქალაქეები ორივე ქვეყანაში მხოლოდ ელექტრონული პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით შევლენ,** – ამის შესახებ მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყებამდე გუშინ განაცხადა. მისი თქმით, ასეთივე მიდგომის გამოყენება იგეგმება სხვა ქვეყნებთანაც, რის შესახებაც მომავალში ისაუბრებს.

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ტურიზმში მოვიძიოთ ახალი პოტენციალი და მოვახდინოთ საქართველოს გეოგრაფიული უპირატესობის უფრო სრულფასოვანი რეალიზაცია. შესაბამისად, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და უკრაინასთან ორმხრივი ურთიერთობის საფუძველზე, ელექტრონული პირადობის დამადასტურებელი მოწმობების მქონეებს უფლება ექნებათ, ორივე ქვეყანაში იმოგზაურონ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისთვის, რომ ორმხრივი ურთიერთობა კიდევ უფრო გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ. ეს დაეხმარება ტურიზმის განვითარებას, ისევე როგორც ზოგადად ეკონომიკური თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას. ამასთან ერთად, ჩვენ ვიხილავთ ანალოგიური მიდგომის გამოყენებას სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც და უახლოეს მომავალში გაცნობებთ ამის შესახებ, – განაცხადა ბახტაძემ.

აჭარის მთავრობის აპარატში დეპარტამენტების რაოდენობა 1/3-ით მცირდება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე, მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ მთავრობის აპარატის რეორგანიზაციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები გააჟღერა. როგორც თორნიკე რიჟვაძემ აღნიშნა, მთავრობის აპარატი 1/3-ით შემცირდა.

გაუქმდა უმაღლეს საბჭოსთან ურთიერთობის, შიდა აუდიტის, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტები, ამავდროულად, მოხდა რამდენიმე დეპარტამენტის გაერთიანება ფუნქციური უფლება-მოვალეობების მიხედვით.

„ერთი თვის განმავლობაში, ფუნქციათა ანალიზის საფუძველზე, ჩვენ მივიღეთ შესაბამისი სურათი და ჩემი გადაწყვეტილებით ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით. გაუქმდა 3 დეპარტამენტი, ასევე მოხდა 2 დეპარტამენტის გაერთიანება სხვა არსებულ დეპარტამენტთან, რომლებიც საგნობრივად და თემატურად ახორციელებენ მსგავს ფუნქციებს. ამ გადაწყვეტილებით, 1/3 -ით შემცირდა მთავრობის აპარატში არსებული დეპარტამენტების რაოდენობა. მე მოგიწოდებთ ყველა სხვა უწყებასაც, თქვენს შესაბამის სტრუქტურებში გაატაროთ ოპტიმიზაცია. საბოლოო ჯამში ჩვენი მიზანია მცირე, ეფექტური და მობილური მთავრობა, რომ უკეთ შევძლოთ მუშაობა რესურსების სწორად გადანაწილებით“, – აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

ლართან დაკავშირებით პანიკის საფუძველი არ არსებობს!

ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა ლარის კურსთან დაკავშირებით ისაუბრა და განაცხადა, რომ ის მერყეობები, რომელიც პერიოდულად ლართან დაკავშირებით ხდება ბაზარზე, არანაირად პანიკის საფუძველს არ უნდა გვაძლევდეს. მაჭავარიანმა საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტი შეაფასა და მას წარმატებული უწოდა.

„გაიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტი საქართველოში. ვიზიტი იყო ძალიან წარმატებული. მათ პრაქტიკულად ეკონომიკური ზრდის კუთხით საპროგნოზო მაჩვენებელი გაზარდეს 4,8%-დან 5,5%-მდე. ეს ძალიან დიდი მიღწევაა იმ საგარეო ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც ჩვენს მეზობელ ქვეყნებშია. სახეზე გვაქვს სავალუტო კრიზისი, როგორც თურქეთში, ისე რუსეთში. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის საბიუჯეტო შემოსავლები გადაჭარბებით სრულდება. ჩვენ გვაქვს ყველანაირი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ 2018 წელს დავხურავთ პროფიციტით, მიმდინარე შემოსავლებისა და მიმდინარე ხარჯების კუთხით. სავალუტო ფონდი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს უკვე დაწყებულ და დაგეგმილ რეფორმებს, რომელიც ჩვენ არაერთხელ წარვუდგინეთ მათ და მათი დახმარება მივიღეთ ამ რეფორმების სტრატეგიაში, – აღნიშნა მინისტრმა.

სეტყვისგან დაზიანებული ყურძენი სრულად გადამუშავდა

კახეთში, სეტყვისგან დაზარალებული მოსახლეობის ყურძნის გადამუშავება დასრულებულია.

რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსის ანდრო ასლანიშვილის ინფორმაციით, სულ გადამუშავდა სეტყვისგან დაზიანებული 1,1 ათასი ტონა ყურძენი.

„ახმეტისა და თელავის მუნიციპალიტეტებში 18 აგვისტოს მომხდარი სტიქიის შედეგად, რამდენიმე სოფლის 500-მდე ჰექტარი ვენახი დაზიანდა. შექმნილი ვითარების გამო, ქალაქ თელავში, რთველი 2018-ის საკოორდინაციო შტაბში ოპერატიულად დაიგეგმა ღონისძიებები იმ ფერმერების დასახმარებლად, ვისაც მოსავალი დაუზიანდა და ვენახები დაზღვეული არ ჰქონდა. დასეტყვილი ყურძნის ჩაბარების შესაძლებლობა მოსახლეობას სტიქიიდან მეორე დღესვე მიეცა და მთელი ეს პროცესი შეფერხების გარეშე მიმდინარეობდა,“ – აღნიშნა რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა ანდრო ასლანიშვილმა.

რთველი 2018-ის საკოორდინაციო შტაბი ოფიციალურად 20 აგვისტოს გაიხსნა და რთველის დასაწყებად სრულ მზადყოფნაშია. ამ დროისთვის შტაბში 41 კომპანიაა დარეგისტრირებული, რომლებიც ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩაერთვებიან. რთველის მიმდინარეობის დროს შტაბი 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს. ყურძნის კრეფა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან დაიწყება და, ეტაპობრივად, მთელ კახეთს მოიცავს.

კახეთში ღვინის ახალი საწარმო გაიხსნა



„ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში ღვინის ახალი საწარმო „აგრიდა“ გაიხსნა.

„გაზრდილი ღვინის ექსპორტი და დივერსიფიცირებული ბაზრები, საქართველოში ახალი ღვინის საწარმოების შექმნის საფუძველს ქმნის. ამ დროისთვის, საქართველოში 500-მდე ღვინის კომპანიაა, რომელთაგან 250-ს ღვინო ექსპორტზე გააქვს. სახელმწიფოს ხელშეწყობით, მევენახეობა-მეღვინეობის დარგი გაძლიერებულია და აღარ საჭიროებს სუბსიდიის ფორმით მხარდაჭერას. მისასალმებელია, რომ კიდევ ერთი ღვინის საწარმო გაიხსნა, რომელიც მიმდინარე რთვლის პროცესში ჩართვას და მოსახლეობისგან ყურძნის შესყიდვას გეგმავს,“ – აღნიშნა ანდრო ასლანიშვილმა.

„აგრიდას“ ხელმძღვანელის გურამ მინდიაშვილს ინფორმაციით, საწარმო მიმდინარე წლის რთვლის პროცესში ჩაერთვება და გადაამუშავებს როგორც საკუთარი ვენახებიდან მოწეულ, ასევე მოსახლეობისგან ჩაბარებულ ყურძენს. „აგრიდა“ ფლობს 23 ჰექტარ ვენახს, გეგმავს როგორც ქვევრში დაყენებული, ისე კლასიკური მეთოდით დამზადებული ღვინოების წარმოებას. მისი წარმადობა წელიწადში 1,5 მლნ ბოთლია. ღვინო გაიყიდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე ექსპორტზე.

გაველურებული ჩაის პლანტაციების სრული რეაბილიტაცია გრძელდება

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების სრული რეაბილიტაცია გრძელდება.

პროგრამის ფარგლებში შპს „აგრო კულტურა+“-ს, ჭიათურაში, სოფელ მანდაეთში 19.21 ჰა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიტოვებული ჩაის პლანტაციები გადაეცა. ქართული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას, ქართული ჩაის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას და რეგიონში მოსახლეობის დასაქმებას.

საერთაშორისო სამეთაურო-საშტაბო სწავლება „AGILE SPIRIT 2018“ იწყება

1-11 სექტემბრის ჩათვლით საქართველო საერთაშორისო სამეთაურო-საშტაბო სწავლება „Agile Spirit 2018“-ს მერვედ უმასპინძლებს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „არმიჰოლში“ „Agile Spirit 2018“-ის შესახებ საინფორმაციო ბრიფინგზე საერთაშორისო სწავლების ხელმძღვანელმა, სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდალმა, ბრიგადის გენერალმა გიორგი მათიაშვილმა მოწვეულ სტუმრებს სწავლების მიზანი, შინაარსი და დაგეგმილი აქტივობები დეტალურად გააცნო.

საინფორმაციო ბრიფინგს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი, მინისტრის მოადგილე ზაალ კაპანაძე, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია და მისი მოადგილეები დაესწრნენ. მრავალეროვნული სწავლება ქალაქ სენაკში, მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ევროპული სარდლობის ლიდერობით ჩატარდება.

სწავლების სცენარი ემყარება თავდაცვის, შეტევისა და სტაბილურობის ოპერაციებს. 2017 წელთან შედარებით, სადაც ნატოს წევრი და პარტნიორი 7 ქვეყანა იყო წარმოდგენილი, წლევანდელ სწავლებაში ნატოს წევრი და პარტნიორი 10 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას, ესენია: საქართველო, აშშ, ბულგარეთი, რუმინეთი, ლატვია, საბერძნეთი, უკრაინა, თურქეთი, ჩეხეთი, ესტონეთი.

Agile Spirit 2018“-ის მიზანია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში ერთობლივ ოპერაციებში ან კრიზისებზე რეაგირებისათვის მზადყოფნის მიზნით ბრიგადის დონეზე სამეთაურო-საშტაბო სწავლების დაგეგმვა და ჩატარება, ურთიერთთავსებადობის დახვეწა, სწავლებაში მონაწილე ქვედანაყოფებისა და სამეთაურო რგოლის ოპერატიული შესაძლებლობების გაუმჯობესება, ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების დროს, რეალურ დროში და მრავალეროვნულ გარემოში.

„Agile Spirit 2018“ კომპიუტერული სიმულაციური სისტემების (JCATS/MTWS) მხარდაჭერით, ძალების მიზიდვის გარეშე განხორციელდება. სწავლებას მხარს დაუჭერს „ნატო-საქართველოს შეფასების ერთობლივი ცენტრი“ (JTEC), სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობა, სპეციალური ოპერაციების ძალები, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვა.

◎ თუ გული გულობს!

სამართალმა პური ჭამა... 20 წლის შემდეგ,

ანუ ჰოლანდიური გაკვეთილი საქართველოსთვის

ძვეძანა რომ დაიქცეს, სამართალმა პური უნდა ჭამოსო... უძველესი რომაული მაქსიმა ჰიპოკრატეს ფიცის მნიშვნელობისაა იურისტებისთვის. ოღონდ, ნაღდი იურისტებისთვის და არა ფარცხალაძეებისთვის, არა – შოთაძეებისთვის, არა – კეზერას საფინანსო პოლიციაში დაფრთიანებული ზოგიერთი ხარბი და გაუმაძღარი ნაბიჭვრისთვის.

და ის, ვინც პოლიტიკური კეკლუცობის გამო ასეთ ტიპაჟს გვაცოდებს, არაფრით განსხვავდება მათგან. შესაძლოა, მხოლოდ სქესით ან ფულის ტომრის სიმძიმით.

გირგვლიანის საქმე, სარალიძის საქმე, არაერთი მსგავსი საქმე კიდევ ერთი ილუსტრაციაა იმისა, თუ რაოდენ სამარცხვინონი და ამაზრზენნი არიან სამართალდამცავ სტრუქტურებში მოკალათებული არამზადები.

საბედნიეროდ, წესიერები და საქმის მცოდნენიც არაერთი გვყავს. ოღონდ, მათ ბედ-იღბალს არ უნდა წყვეტდნენ „ბოტასების ქურდები“, მათი „პარტნიორები“, მათი მფარველები.

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს ვთხოვ, გაეცნოს ბი-ბი-სის გადაცემას, რომელიც მოგვითხრობს ჰოლანდიაში მოკლული 11 წლის ბიჭუნას „საქმეს“, რომელმაც არა მხოლოდ შეძრა ქვეყანა, არამედ მისი „გახსნა“ გახდა სახელმწიფოს პრესტიჟის და საზოგაფოების ღირსების განმსაზღვრელი ფაქტორი.

გაეცანით და გაოცდით იმით, თუ 20 წლის მანძილზე რა გამიზნულად და თავდადებით ეძებდნენ მკვლელს, რა სამართლებლივი და პოლიტიკური ნაბიჯები გადადგეს, რა მასშტაბურად, თანაც ორიგინალურად დარაზმეს და ჩართეს მთელი ევროპული საზოგადოება სავარაუდო დამნაშავის ძიების პროცესში და... მაინც „ამოთხარეს“ ადამიანის მსგავსი „ურჩხული“ მიწიდან!

(https://www.bbc.com/russian/features-45320765?SThisFB)

ჩვენს წინაპრებს უთქვამთ: თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა გული მართლა გულობს. გულწრფელად! როცა მილიონობით გული გაერთიანდება და გარდაიქმნება რისხვით შეკრულ ერთ მუშტად.

იმიტომაც ჭამა პური სამართალმა. გვიან. მაგრამ მაინც!..

იმიტომაც, რომ გარდა კომპეტენციისა, გარდა მიზნისა, გარდა პოლიტიკური ნებისა, ეტყობა, ჰოლანდიურ საზოგადოებას გააჩნია კიდევ ერთი გადამწყვეტი ნიშან-თვისება – სინდისი!

ასეთმა სინდისმა და მისმა მუშტმა – „კაკაბეთის ზარებმა“ ერთხელ ისე დაუჩეჩქვა ცხვირ-პირი არაკაცებს, რომ მრავალი წლის მანძილზე არ მომხდარა ადამიანის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით. მანამდე, კარგა ხნით ადრე, ჭკუამ და შეგნებამ წერტილი დაუსვა სისხლის აღების სამარცხვინო „ტრადიციას“.

ეს სინდისი, ერთსულოვნებასთან ერთად, მძლავრად კი არა, ოდნავ მაინც რომ ჰქონდეს ქართველ საზოგადოებას, ნებისმიერი, ანაკლია იქნება, თბილისი თუ მარნეული, ყოველდღე არ შეძრწუნდებოდა საჯიშე გოგობიჭების მოულოდნელი და გამაოგნებელი „თვითმკვლელობებით“, რომლებსაც „სულს უბერავენ“ ვითომ თავისუფლებისთვის მოწადინებული, სინამდვილეში კი აშკარად მოდეგენერატო, ენატარტარა თუ მეტყველებ-ბადაქვეითებული, ახალ თაობასთან საკუთარი „სვეტკობით“ მოკეკლუც-მოგირჩ-მოევროპულო“ საპრეზიდენტო კანდიდატებიც კი, რომელთა მავნებლური საქმიანობა შედეგიანობით არაფრით განსხვავდება ადგილობრივი თუ გადამთიელი ნარკობარიგების ამაზრზენი და დამღუპველი „ბიზნესისგან“.



ეს ის სინდისია, სამწუხაროდ, კონა ათ შაურად რომ იყიდებოდა ამ ცოტა ხნის წინ... პროკურატურაში!

ისე, ღმერთმა არ ქნას, პროკურატურის თავკაცის მორიგმა ცვლილებამ ლარის კურსის ცვლილების მსგავსად არ იმოქმედოს მავანთა სინდისის ღირებულებაზე.



მანამდე კი:

შენ დაუკა... ფარცხალაძე!

შენც – შოთაძე!

თქვენ კი ტაში... მარიხუან-კოკაინმყნოსავო, მაგრად დაბოლილო კანდიდატებო!

ნუგზარ ფოფხაძე

2 ტონა კოკაინი „ედინაია როსიას“ ლოგოთი

„ედინაია როსიას“ გენერალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ევგენი რევენკომ ნახევრად ხუმრობით განმარტა, თუ როგორ მოხვდა ბელგიის პორტიდან, მესაზღვრეების მიერ ამოღებული კოკაინის შეფუთვაზე პარტიის ლოგოტიპი, – იუწყება რია ნოვოსტი.

„აი, დიდება! უკვე ლათინოამერიკელ ნარკობარონებსაც გაუგიათ პარტია „ედინაია როსიას“ არსებობის შესახებ და ჩვენი პარტიის ლოგოს ნაწილიც გამოუყენებიათ, ამჯერად ბრაზილიიდან და ბელგიაში კოკაინის მორიგი პარტიის შესანიღბად. ან იქნებ ჩვენი სამფეროვანი დათვი მოეწონათ. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს დღე შედგა, სიცილის საფუძველიც მოგვეცა“, – განაცხადა მან.

უფრო ადრე, შაბათს იუწყებოდნენ, რომ ბელგიის **ქალაქ გენტის პოლიციამ 2 ტონა კოკაინის შემცველი სამი კონტეინერი აღმოაჩინა. სულ 1903, თითოკილოგრამიანი შეფუთვა. ნარკოტიკული ნივთიერების შეფუთვას რუსეთის პოლიტიკური პარტია „ედინაია როსიას“ ლოგო ჰქონდა.**

როგორც 23 აგვისტოს აღმოსავლეთ ფლანდრიის პოლიციის წარმომადგენელზე დაყრდნობით, ნიდერლანდისა და ბელგიის მედია იუწყებოდა (De lf Telegraf და RTL), 100 მილიონი ევროს ღირებულების კოკაინის კონტეინერები გენტში ბრაზილიიდან ჩაიტანეს. ეს არის ნარკოტიკების უდიდესი პარტია, რომელიც ოდესმე დაუკავებიათ გენტში.

ბელგიის ტელეკომპანია VRT-ის ჟურნალისტების მიერ გადაღებულ ვიდეოზე **მკაფიოდ ჩანს რუსეთის სახელისუფლებო პარტიის ლოგო – დათვი და რუსეთის მოფრიალე დროშა.**

22 აგვისტოს **არგენტინაში დაწვეს კოკაინი, რომელიც მანამდე ბუენოს-აირესში რუსეთის საელჩოს კუთვნილ ერთ-ერთ შენობაში აღმოაჩინეს. თებერვლის ბოლოს არგენტინის ხელისუფლება იუწყებოდა, რომ არგენტინაში რუსეთის საელჩოსთან არსებულ სკოლაში აღმოაჩინეს 400 კილოგრამამდე კოკაინით სავსე 12 ჩემოდანი, რომელიც დიპლომატიურ ტვირთად იყო რეგისტრირებული. ნარკოტრაფიკთან დაკავშირებული პირების გამოსავლენად, კოკაინი ფქვილით შეცვალეს და მოსკოვში გაგზავნეს.**

ე.წ. „კოკაინის საქმეზე“ 6 პირია დაკავებული. სამი მათგანი რუსეთში კონტრაბანდისტების სავარაუდო თანამზრახველია. ივან ბლიზნიუკი და ალექსანდრ ჩიკალო არგენტინაში ხელმძღვანელობდნენ ფონდს „რუსი მართლმადიდებელი მეცენატები ლათინურ ამერიკაში“. ჯგუფის სავარაუდო ორგანიზატორი ანდრეი კოვალჩიუკი გერმანიაში დააპატიმრეს. ივლისის ბოლოს კი რუსეთს გადასცეს.

მალხაზ მაჩალიკაშვილი ნამეტნავად გაგულისდა!

პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამამ მალხაზ მაჩალიკაშვილმა სუს-ში გამოკითხვაზე შესვლამდე ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ ის მეტჯერ აღარ აპირებს გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებას.

„როგორც ყველანი ხედავთ, მე დღეს მეოთხედ ვიმყოფები გამოკითხვაზე ჩემი მოსისხლე მტრების შენობაში. ჩემთვის აქ მოსვლა სიკვდილზე მეტია. აქედან გამომდინარე, მე აღარ ვაპირებ ამ ცირკში მონაწილეობის მიღებას და ჩემი თავის გამასხარავებას.

მე ვაცხადებ, რომ აღარ მოვალ დაკითხვაზე. იძულებით თუ მომიყვანენ, მომიყვანონ. მე ამასაც შევეწინააღმდეგები. თუ უნდათ, ჩამსვან ციხეში და იქ დამკითხონ. მე აღარ შემიძლია აღარც ფიზიკურად და არც მორალურად. თუ უნდათ, დამაკავონ, მე ეს მირჩევნია, ვიდრე ამ შენობაში ვიარო“, – განაცხადა მაჩალიკაშვილმა.



ყალბი მოტირალნი, ნარკოტურისტები და პრეზიდენტობის 31 კანდიდატი

დავიწყებ ბოლოდან:

დღეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტობის 31 კანდიდატია დარეგისტრირებული.

საოცარია, არა? 3100000 სრულწლოვანი ადამიანიდან ყოველ მეასიათასეს სურს საქართველოს პრეზიდენტობა, სურს, გახდეს საქართველოს ისტორიის ნაწილი. სურს, მისი სახელი მოიხსენიებოდეს დავით აღმაშენებლის, ერეკლეს, ზვიად გამსახურდიას გვერდით.

ცხადია, სურვილი და ოცნება კანონით არ ისჯება. ასე რომ იყოს, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ გარკვეული ნაწილი ახლა სულ ცოტა პარლამენტს გარეთ უნდა იყოს, მაგრამ...

კი ბატონო, პრობლემა არ არის, მაგრამ მთავარია ის განწყობა, ის არსებული რეალობა, რაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უფლებას აძლევს, დაიჯეროს საკუთარი განუმეორებლობა და ერის მომავლისთვის მისი „მეთაურობის“ აუცილებლობა.

არ ჩამოვთვლი იმ „მარგალიტებს“, რასაც მომავალი კანდიდატები უხვად ისვრიან. არ ჩამოვთვლი, რადგანაც ადამიანი, რომელიც თავისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ე.წ. „ქალიშვილობის დამადასტურებელი დიპლომის“ გაცემას გვპირდება, კანდიდატად კი არ უნდა დაარეგისტრირო, არამედ გარკვეული დაწესებულების მე-7 პალატიდან არ უნდა გამოუშვა.

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში საერთო განწყობაა გადამწყვეტი.

განწყობა და ვითარება, რომელმაც ბოკერია ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკოსად აქცია, რომელმაც რუსული ფსბს ნომრიანი აგენტი გრიგოლ ვაშაძე — პრეზიდენტობის კანდიდატად, გუგული მაღრაძე — კანონმდებლად და ტერორისტი ტელეკომპანია „რუსთავი-2“ „მთავარ ტელევიზიად აქცია.“

სწორედ ამ უაზრო და აბსურდული ვითარების გამოა ის, რომ ამერიკელი სენატორის მაკკეინის გარდაცვალება ლამის ეროვნულ ტრაგედიად აქციეს და 20 წლის ბიჭის ნარკოტიკებით დაღუპვა ნაცების ცრემლების ზღვაში ჩაიკარგა.

იმ გარდაცვლილ სენატორს ცდა ჰქონდა, გამხდარიყო თანამედროვე ჩარლი უილსონი, რაც ორი უმარტივესი მიზეზის გამო ვერ მოახერხა:

1. უილსონი ავღანეთში ურთიერთობდა ადამიანებთან, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის. საქართველოში კი უილსონი ვერაფერს გააწყობდა, რადგან მებრძოლი ხალხის ნაცვლად დახვდა კორუმპირებული, მანიაკური მიდრეკილებების ხელისუფლება და ხალხი, რომელსაც „ეამაყება“ ის, რომ 300000-იან აქციებზე „ფოთოლიც არ ვარდება“.

2. მაკკეინი ზუსტად მოერგო ბოკერია-სააკაშვილის სქემას და გახდა ის საპნის ბუშტი, რომელიც, ერთი შეხედვით, ლამაზია, მაგრამ არანაირი სასარგებლო შედეგი, გარდა წამიერი აღფრთოვანებისა არა აქვს. ზუსტად ასეთი შედეგი ჰქონდა მის ფრაზას — „დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართ“!.. ფრაზას, რომელიც ჯონ კენედიმ ამ 56 წლის წინათ გდრ-ს კრიზისთან მიმართებაში თქვა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ კენედის რეალურად აწუხებდა გერმანელთა ბედი და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია, ხოლო მაკკეინის „რისხვა“ წინასაარჩევნო პიარის ნაწილი იყო (ამის შესახებ ჩვენს გაზეთში ფრაზის გახმიანებისთანავე დავწერე).

თუ იმ გლოვას და თვითგვემას, რაც მაკკეინის გარდაცვალების შემდეგ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ხდებოდა, საღი თვალით შევაფასებთ, ორ მეტად საყურადღებო მომენტს დავინახავთ.

1. ის პათოსი, რომლითაც ეს „ჩვენი“ პოლიტიკანები მაკკეინს მოიხსენიებენ, არის ტყუილი და ე.წ. „დაქირავებული მოტირალების“ თავგამოდება.

2. ჩვენი პოლიტიკური ელიტა ვერ აფასებს არსებულ რეალობას, რაც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის შიდა ველზე ხდება და ჯიუტად დგას იმ ვირივით, რომელსაც არაფრით არ უნდა მდინარეზე ფონით გადასვლა და ჩანგრეული ხიდისკენ მიიწევს.

იბადება მეტად ლეგიტიმური შეკითხვა: ნუთუ საქართველოში არ მოიძებნება ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც შეძლებენ დონალდ ტრამპს წერილობითი სახით მიაწოდონ ზუსტი და დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია „ბოკერვილების“ (ამ შემთხვევაში მიHუილებიც მაგ პონტში გადიან) იმ ქმედებების შესახებ, რითაც ქართველ ხალხს გული უცრუვდება სტრატეგიულ პარტნიორზე და ჭეშმარიტ დემოკრატიულ პრინციპებზე და იმ უზენაეს ფასეულობებზე, რომლებიც ქართველ და ამერიკელ ხალხს ერთი და იგივე აქვთ.

ჩემი აზრით, ეს მისია თავის თავზე საქართველოს „პატრიოტთა ალიანსმა“ უნდა აიღოს, რადგანაც ისინი თავიანთ ხედვაში სრულიად თავისუფალი არიან გარე ძალებისგან, როგორც საპარლამენტო პარტიას ხელი მიუწვდება საერთაშორისო ურთიერთობებზე და უმთავრესი: ისინი იბრძვიან იმ მანიაკური ხელისუფლების ბოლომდე დასჯისათვის, რომელთა წარმომადგენლები არამც თუ პარლამენტში სხედან, არამედ ქვეყნის ყველაზე უმაღლესი ლეგიტიმაციის თანამდებობაზეც აქვთ პრეტენზია.

სამწუხაროდ, ამ ყველაფრის მედიის საშუალებით გაშუქება, ე.წ. „ნახევრად ფეხმძიმე“ მდგომარეობაში მყოფ, აცუნდრუკებულ თინეიჯერ გოგონას ჰგავს.

პოლიტიკოსები ხელს უწყობენ ამ გოგონას „წარმატებებს“ და რეალურ მედიას, სადაც ანალიზი, მსჯელობა და დასკვნები კეთდება, ანუ ბეჭდურ მედიას სრულ იგნორს უცხადებენ.

რატომ არ „სწყალობენ“ ქართველი „პოლიტიკოსები“ ბეჭდურ მედიას?

ეს შეკითხვა ბევრჯერ დამისვამს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და კიდევ ერთხელ, მე თვითონ გავცემ პასუხს:

არ სწყალობენ იმიტომ, რომ დღევანდელმა ბეჭდურმა მედიამ ფორმატი შეიცვალა და საინფორმაციო წყაროს ნაცვლად, ანალიტიკური მსჯელობის ერთადერთ საშუალებად გადაკვალიფიცირდა.

„ჩვენს პოლიტიკოსებს“ კი ტვ-ში 5-წამიანი ლოზუნგის ტყორცნა ურჩევნიათ ჯანსაღ მსჯელობას და ამ წერილის დასაწყისში დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას.

ასევე არის ვიზუალის ეფექტი. მაგ: ვინმე მაჭუტაძე, რომელსაც გამზადებული „პოლიტიკური ძალა“ მკვახე კარალიოკივით სრულიად შემთხვევით დაეცა თავზე და რომელსაც გარკვეულწილად პატივს ვცემ ტელეგამოსვლების პომპეზური სტილის გამო, გაზეთში აბსოლუტურად დაიკარგება, რადგანაც კომიკურობამდე მისული შემართების გადმოცემა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

არადა, ურიგო არ იქნებოდა, რომ ამ „პოლიტიკოსებმა“ თავიანთი რისხვა იმ ე.წ. ტურისტებს და მათ იმ მფარველებს დაანთხიონ, რომლებსაც ფარანჯაში თუ სხეულის უხერხულ ადგილას დამალული სიკვდილი შემოაქვთ და სახელმწიფოსგან დაფინანსებულ მუსიკალურ ღონისძიებებზე ახალგაზრდებს წამლავენ.

უნდა დაანთხიონ იმ „მოცეკვავე მეპროტესტეებს“, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ ჩირგვებში შეძვრნენ, ახალგაზრდებს სხვადასხვა მედიასაშუალებების მეშვეობით, ნარკოტიკის „სწორად მიღების წესებს“ ასწავლიან და მათ უცოდინარობაში ამუნათებენ.

არადა, ეს ყველაფერი სწორედ იმ მსოფლმხედველობის რეალური შედეგია, რასაც ბოკერია, თავისუფლების ინსტიტუტი, დღევანდელი არასამთავრობო ორგანიზიები, გიგაურები, კოჟორიძეები, ვერძეულები და, რაც ყველაზე საშინელია, სახალხო დამცველი მთელი თავისი „მოღვაწეობის“ მანძილზე ამკვიდრებდნენ.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და უბრალოდ ვიტყვი, რომ ნამდვილად არასახარბიელო ვითარებაა საქართველოში. ვითარება, რომლიდან გამოსვლაც მხოლოდ ჩვენ, ქართველებს, შეგვიძლია და სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი თუნდაც უფლებებშეზღუდული, მაგრამ უმაღლესი ლეგიტიმაციის პირის არჩევნებში აქტიურობა და ისეთი არჩევანის გაკეთება, რომელიც საპრეზიდენტო ტრიბუნას ჩვენს ხმად, ხალხის ხმად აქცევს.

გია გაბრიჭიძე

რუსმა ოკუპანტებმა განმუხურთან სათვალთვალო მოწყობილობა დაჰკიდეს



განმუხურის სანაპიროს შესასვლელთან, სავარაუდოდ, რუსი ოკუპანტების მიერ, საჰაერო სტაციონარული სათვალთვალო მოწყობილობაა დამონტაჟებული. ინფორმაციას და შესაბამის ფოტომასალას ამის შესახებ ჟურნალისტი და ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრი ლაშა ბერულავა ავრცელებს:

„ვინც ვერ იცანით — ეს განმუხურის სანაპიროზე შესასვლელი პატარა ხიდია, ზღვისკენ ზურგით მდგარი ვიღებდი ამ ფოტოს.

ჰაერში დაკიდებული პარაპლანის მსგავსი მოწყობილობა გარემოსთან შეუთავსებელი სულაც არ არის — ანაკლიის გზიდან რომ განმუხურის ხიდისკენ გადმოუხვევ, უკვე ჩანს და ჰა, მერე რა, ვიღაც პარაპლანერისტი ერთობა, არა? არადა, საქმე რომ ასე მარტივად არაა, მაშინვე მიხვდებით, თუ დააკვირდებით, რომ ეს პარაპლანი სულ ერთ ადგილასაა დაკიდებული და თუ ღამით ზღვიდან წამოსვლა მოგიწევთ, წითელი ციმციმა სიგნალითაც გამოარჩევთ.

ჩემი ვარაუდით, ეს რუსი ოკუპანტების მიერ, გალის რაიონის ოკუპირებული ტერიტორიიდან (ფიჩორიდან ან გაგიდიდან) თამამად აშვებული და დაკიდებული საჰაერო სტაციონარული სათვალთვალო მოწყობილობაა.

რას აკეთებენ შესაბამისი სამსახურები?

რატომ ვერ ბედავდნენ ადრე და რატომ ბედავენ ახლა ამას რუსი ოკუპანტები?

თავმოყვარეობას არ გილახავთ ეს ფაქტი? — წერს ბერულავა „ფეისბუქზე“.

საკუთარი ქვეყნის სანახებში დატყვევებული ქართველები

ყელის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. სახელმწიფო საზღვრის დარღვევისთვის საქართველოს ხუთი მოქალაქის დაკავებასთან დაკავშირებით ცხინვალის დე ფაქტო სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტი განცხადებას აქვეყნებს.

„ჯავის რაიონში, ყელის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დარღვევისთვის საქართველოს ხუთი მოქალაქე: 1988 წელს დაბადებული ბექა მაღრაძე, 1989 წელს დაბადებული ქეთევან მაღრაძე, 1992 წელს დაბადებული მზია გომური, 1997 წელს დაბადებული ვახტანგ გუბელაძე და 1996 წელს დაბადებული გია ბაღდოშვილი დააკავეს. ყველა დაკავებული თბილისში ცხოვრობს“, — განაცხადეს „უწყების“ პრესსამსახურში.

რაც შეეხება სოფელ ჭვრინისის მკვიდრის, 1951 წელს დაბადებული გიორგი ხარაზიშვილის დაკავებას, ის ანალოგიური ბრალდებით თიღვის რაიონის სოფელ ბალთაში დააკავეს.

როდის გათენდება?!

O TEMPORA, O MORES
დასკვნები ჟამიანობის დროინდელი ჩანაწერებისა

HANNIBAL ANTE — ეს სიტყვები იყო საგანგაშო ზარის ხმა (თორმეტი წლის წინათ), როდესაც შევნიშნე ჩვენი სამშობლოს ცაზე შავი ყორნების გამოჩენა.

ჰანიბალმა რომი ვერ აიღო. ნაცისტმა „რეფორმატორებმა“ საქართველო თვალის დახამხამებაში გაიდეს ფეხქვეშ, ხერხემალში გადატეხეს და სიამაყით აგუგუნდნენ, რომ ქვეყანა დააყენეს განვითარების ევროპულ გზაზე. ასე დაიწყო **„უსწავლელი სწავლულების“** განუკითხავი თარეში ქართული სულიერების სიწმინდეებზე. მეხთატეხის პირველი დარტყმა განიცადა განათლებამ და მეცნიერებამ. სიცრუეზე აგებულმა რეფორმისტულმა სიყალბემ (რომელსაც სათავეში ედგა ნაცისტების „მესია“ სააკაშვილი და მისი „ღვთივ კურთხეული“ მოციქული ლომაია) ქართული განათლება გამოქვაბულის ეპოქის გაუგებრობად გამოაცხადეს. სიცრუის მთესველებმა დაიწყეს ბარბაროსული შეტევა არსებულზე. დაფშვნეს და დალეწეს ყოველივე, რაც დახვდათ და ხელი მიუწვდათ, მაგრამ ნანგრევებზე არაფერი დაუშენებიათ. კმაყოფილდებოდნენ უაზრო რიტორიკით, თითქოს ასრულებდნენ ღვთაებრივ მისიას. ნაციონალების ყოველი მეორე სიტყვა იყო **დემოკრატია** და **რეფორმები**. რა მივიღეთ? დემოკრატია საშვილიშვილოდ გააბითურეს, ტერმინს სახეც დაუკარგეს და შინაარსიც. რეფორმების სახელით მონათლული გაუგებრობით გადაასწრეს უდაბნოს ბინადარ მონღოლებს, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით სპობდნენ ყველაფერს. „ცრუ“ რეფორმატორებმა მთავარ ბარიერად უნივერსიტეტი მიიჩნიეს და პირველი მახვილიც მის დასამხობად აღმართეს. მათ „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ ბრძოლა „ბრწყინვალედ“ მოიგეს.

თანამედროვე მსოფლიოს მეცნიერება იბრძვის სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის, ქართველმა ნაცისტებმა საშვილიშვილო მკრეხელობა ჩაიდინეს და ასაკი დანაშაულს გაუთანაბრეს. რეფორმებს მიტმასნილი არარაობანი ამაყად ისროდნენ შემაძრწუნებელ სიტყვებს: **უნივერსიტეტი ჭაღაროსნების გარეშე!**

ბოროტებამ გაიმარჯვა. ეს ნაცისტური უკეთურობა მთელი ძალით მოქმედებს დღესაც. ბურთი და მოედანი დარჩათ „გადამფრენ“ ფრინველებს.

სიცრუის მქადაგებლებმა სკოლა და უნივერსიტეტი არასრულფასოვნად შერაცხეს. ეშმაკთან წილნაყარი ლომაია, რომელიც მოგვევლინა თანამედროვე განათლების მედროშედ, ბრძენი ქურუმის დამაჯერებლობით, საქვეყნოდ აცხადებდა, **წიგნის ეპოქა დამთავრდაო** (ამ სიბრძნეს თუთიყუშივით იმეორებდა უნივერსიტეტის გადამრჩენად ხელდასმული გაუგებრობა ხუბუა). ერის მომავალს უნერგავდნენ არასრულფასოვნების რწმენას და, რაც მთავარია, რწმენას იმისას, რომ საქართველოში განათლების მიღება იყო შეუძლებელი (ეს „ჭკვიანური“ მიგნება საოცრად სიცოცხლიუნარიანია დღესაც!).

უმწიფარმა ყველაფრის მცოდნეებმა დაამხეს სალოცავი კერპები. უმეცრება ზეიმობდა გამარჯვებას. ქონდაქარმა ლომაიამ თავი წააცალა ეროვნულ სულს და გაამეფა სიცრუეზე დაფუძნებული გაუვალი ჭაობი, რომელშიც ჩაეფლო განათლება და მეცნიერება. ამ ბოროტებას ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება უწოდა მისმა შემოქმედმა. ყველა შეესანიშნავად ხედავს, რომ სახელოვანი „მწიგნობართუხუცესის“ ჯადოსნური კვერთხის ელვარება წმინდა წყლის ბლეფი გამოდგა. მაგრამ უფრო დიდი უბედურებაა ის რეალობა, რომ ნაცისტების ბრმა ტაშის დამკვრელებს სიცრუე სიმართლე ეგონათ (და დღესაც ჰგონიათ).

ქარაფშუტა ნაცისტების ჰაერში ფრიალი ქარმა წაიღო, მაგრამ საქართველოს მკერდში გაყრილი შუბი დარჩა, რომლის ამოძრობა არავის უცდია. გამკითხავი არ ჩანს. ისმის მხოლოდ დროს მორგებულ მედროვეთა არაფრისმთქმელი გნიასი, გაცვეთილი სიტყვების უთავბოლო კასკადი.

„ოცნებამ“ როგორც სანუკვარი ანდერძი, გადმოიბარა ნაცისტების გამრუდებული საგანმანათლებლო სისტემა. დრო მიდის. ყველაფერი იცვლება. დრო არ მოქმედებს სააკაშვილის „ქვაზე ამოკვეთილ“ კანონებზე და მის დამცველებზე. ლომაია-შაშკინის სიცრუის კოშკი, ევროპეიზაციის სახელწოდებით, ურყევად დგას და ატყუებს გზას აცდენილ ახალგაზრდობას.

ხელისუფლების მაღალჩინოსნები, დემოკრატიის გვერდით უმისამართოდ ღაღადებენ განათლებაზე, მაგრამ რეალურად არც ერთზე იწუხებენ თავს და არც მეორეზე. ეს უსახური ადამიანები იმ რეჟიმის ღირსეული მემკვიდრეები აღმოჩნდნენ, რომელმა რეჟიმმაც უნივერსიტეტის კარებში პოლიცია ჩააყენა და ავაზაკ ლომაია-ხუბუას უკეთურების მსხვერპლებს შენობაში არ უშვებდნენ. ერმა დავიწყების ფერფლი გადააფარა იმ ავბედით დღეებს, როდესაც „ევროპული სტანდარტებით“ მოკეკლუცე სარკინოზებმა შელეწეს წმინდა ტაძრის კარები.

ნაცისტების „ბრძნული“ პოლიტიკის წყალობით, ქართულმა განათლებამ ევროპას გვერდი აუარა და შუაგულ აფრიკაში ამოჰყო თავი. განათლების მესაფლავეებმა წერა-კითხვის სწავლება დედაენასთან ერთად მათთვის „მშობლიური“ ინგლისურით დაიწყეს. ამ ნაბიჯით ქართულ ენას ისეთი მახვილი აძგერეს, მურვან ყრუს, ჯალალედინს, თემურ ლენგს და მათ მსგავს ეშმაკის მოციქულებსაც რომ შეშურდებოდათ.

დღესაც სრული დატვირთვით ბოგინებს მითი უცხოეთში სწავლამიღებულთა სასწაულების შესახებ. მეოთხედი საუკუნეა ამ ზღაპრით საზრდოობს ერი. იმაზე კი არავინ ფიქრობს, რაც მოსპეს, ის აღადგინონ და ამის შემდეგ მისცენ ვიზა მეცნიერების სილრმეებში შესალწევად. ქართული განათლების დონის აუგად მოხსენიება გრძელდება.

ნაცისტების „აყვავების“ ხანაში „ბრძენთა ბრძენმა“ შაშკინმა სიბნელიდან გამოყვანის მიზნით, მრავალრიცხოვანი გაურკვეველი განათლების ინგლისურენოვანი ადამიანები მოიწვია. შედეგი? მტერს რომ სიამეს მოგვრის! ვცოდვილობთ დუშმანის გასახარებლად. რა ნაყოფი მოიტანა შაშკინის ექსპერიმენტმა?“ რატომ დუმან ისინი, რომლებიც ოვაციებით ხვდებოდნენ „სინათლის დიდ გამონათებას?“. ძლიერნი ამა ქვეყნისანი სტოვებენ გადამფრენი ფრინველების შთაბეჭდილებას: იკეთებენ ბუდეებს, მოღონიერდებიან, გასუქდებიან და კომეტებივით უჩინარდებიან. **„მამა მარჩენალები“** ახალ ვარსკვლავებს აგვიკაშკაშებენ (ამ კუთხით ყველა დროის რეკორდი მოხსნა ზღაპრებთან მებრძოლმა **ჯეჯელავამ,** რომელსაც

ებად აღიზრდებიან, რომელ ქვეყანაშიც დაიბადნენ. რას ფიქრობენ ქართული სახელმწიფოს თავკაცები ? რატომ არ ეხმიანებიან ამ რეალობას? მარტო სადღეგრძელოები უშველის საქმეს? ბავშვებში დედაენის შენარჩუნება საკვირაო სკოლების იმედზე უნდა იყოს? მშობლიური ენის უარყოფა ნაციონალების ოცნება იყო და ოცნებადვე რჩება.

ევროპეიზაციის ცრუ აპოლოგეტებმა, სამყაროს გვირგვინი, ადამიანი დაიკნინეს. გააუფასურეს მისი როლი. ნაცისტები სკოლას და უნივერსიტეტს მოექცნენ ისე, როგორც ავაზაკი პროკრუსტე ექცეოდა თავის მსხვერპლს. ჩვენს შემთხვევაში ავაზაკთა ხროვამ მეცნიერებას და განათლებას თავი მოკვეთა და მეთორმეტე წელია, უთავოდ არის (დედაუნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის უმოწყალო დარბევა ფაქტის უტყუარი დადასტურებაა). „ოცნებამ“ პროკრუსტეს სარეცელს ფუნქციები შეუნარჩუნა. მომაკვდინებელი ჭრილობა დარჩა მოუშუშებელი. მინისტრების მიდი-მოდი და მაღაფარდოვანი დაპირებები კიდევ უფრო აბუნდოვანებს ნაცისტების დაგესლილ გარემოს. სინათლე იგვიანებს, რაც სიხარულით ავსებს ქართველთა მტრებს, რადგან მართლდება მათ მიერ დასმული დიაგნოზი, რომ ვართ განვითარებადი ქვეყნის უბადრუკი შვილები. ამიტომ უნდა შევეგუოთ და ქედი მოვიხაროთ უცხოელ ჭკუის მასწავლებელთა წინაშე, რომელთა ყურმოჭრილი ემისრები დიდკაცური რიხით განიკითხავენ „ქვეშევრდომთა“ ბედს და უბედობას (ამ სტრიქონების ავტორს საკუთარ თავზე აქვს გადატანილი განათლებისა და მეცნიერების (ამჟამად კიდევ სხვათა და სხვათა) მინისტრის და უნივერსიტეტის რექტორის მიკიბულ-მოკიბული პასუხი, საკმაოდ საფუძვლიან და არგუმენტირებულ განცხადებებზე, რომლებსაც არ აინტერესებთ, ნაცისტების მიერ შერისხული პირი რას აკეთებს და რა დონეზე საქმიანობს თავის სფეროში. მრავალთაგან ერთადერთი გამონაკლისი იყო აკად. **ლადო პაპავა**. მაგრამ უნივერსიტეტში მოკალათებულმა ნაციონალებმა, როგორც მათი ბოროტი ზრახვების მოწინააღმდეგე, იძულებული გახადეს, თანამდებობა დაეტოვებინა).

ამ ეროვნულ ტრაგედიას განათლებისაგან შორს მდგომი არსებები სასხვათაშორისო საკითხების რიგში აყენებენ. სახელმწიფო სკოლას, ერის მომავალს, ავი დედინაცვალივით მოეკცა. შედეგიც შემაძრწუნებელი გვაძვს, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ფუნდამენტალურ საგნებში კი არ მოიკოჭლებს, უბრალოდ ვერ ერკვევა.

ეს მოგვიტანა სანაქებო რეფორმამ, რომელსაც სამწუხაროდ, დღესაც მრავალი მხარდამჭერი ჰყავს (ძირითადად ნაციონალებს მიტმასნილი ელემენტები, ჩვეულებრივი ტაშის დამკვრელები და ტვინგამრუდებულები, რომლებიც უაზრობათა კორიანტელს ღვთის წყალობას უწოდებენ).

...რამდენჯერ დამიწერია, როდესაც ძველ საბერძნეთში, სახალხო კრების მიერ მიღებულ კანონში გადაცდომას აღმოაჩენდნენ, მისი ავტორი მკაცრად ისჯებოდა (დანაშაულის ხარისხიდან გამომდინარე, სასჯელი მრავალგვარი იყო (ფულადი ჯარიმა, სამშობლოდან გაძევება გარკვეული ვადით და უვადოდ). კანონიერების დაცვის ამ ფორმას ეწოდებოდა **„გრაფე პარანომონ“... საქართველოში განათლების აღორძინების სახელწოდებით მიღებულმა თვალთმაძცობამ ძვეყანა უძირო ჭაობში ჩაამხო. მისი ავტორი დასჯის ნაცვლად, ერის მამის ტიტულით შეამკეს (ერთი წლის შემდეგ შეუდარებელი „მწიგნობართუხუცესი“ ცხინვალის შემოგარენში ვიხილეთ, ქართული შეიარაღებული ძალების სათავეში. ეს საბედისწერო სამხედრო ოპერაციაც ისეთივე წარმატებით „დაგვირგვინა“, როგორც განათლების რეფორმა).**

ქართველმა კანონმდებლებმა რევოლუციური გარდაქმნების სახელით ცეცხლით ამოშანთეს წარსულის გადმონაშთად სახელდებული ეროვნული სიწმინდეები და მხსნელის მანტიამოსხმულები სიბნელეს სინათლედ ამტკიცებდნენ. გადის წლები, სიბნელის ფარდა ფართოვდება...

გრანი ქავთარია,
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

(დასასრული იქნება)

„ავტოპორტრეტი“

შავი და მწვანე ფერით ალაპარაკებული საოცარი სამყარო

მე ვამაყობ, რომ ნათელა იანქოშვილი, ჩემი თანამემამულე ქართველი მხატვარი ქალია, რომელმაც ახლებური თანამედროვე ხედვით და შესრულების მანერით მსოფლიოს დაანახვა ქართული თანამედროვე ფერწერის სიძლიერე, ძირითადად შავი და მწვანე ფერით აალაპარაკა სურათი და მსოფლიო ხელოვნებაში შავი და მწვანე ფერით თქვა თავისი სათქმელი სიტყვა.

ნოდარ დუმბაძე

„ერთი მხატვრის“ მუზეუმის ინტერიერი.

ცნობილი ფილოსოფოსი მოსე კაგანი, როდესაც ნათელა იანქოშვილის შემოქმედებას გაეცნო, გაოცებული წერდა — **„აღფრთოვანებული ვარ თქვენი ტალანტით, მამაკაცური შემართებითა და ფუნჯის არაქალური გამბედაობით“**. ვის, თუ არადა, ცნობილ ფილოსოფოსს კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ეს „არაქალური გამბედაობა“ და „მამაკაცური შემართება“ ღვთით ნაბოძები ნიჭის ამოფრქვევა იყო და მხატვრობაში, ახლა უკვე თამამად შეიძლება თქმა — მსოფლიო მხატვრობაში, გამორჩეული, თვითმყოფადი ქართველი ხელოვანის დამვიდრებული, ჯერარნანახი და ყველასათვის მომნუსხველი სტილი — იანქოშვილის სტილი რომ ჰქვია. ქართველმა მხატვარმა შესძლო, რომ მისი ნახატები ყველასგან გამორჩეული ყოფილიყო არა მარტო სტილითა და შესრულების ტექნიკით, არამედ ფერთა საუცხოო გამით. მისი შემოქმედება ფილოსოფიაა, ფილოსოფია, რომელიც ქართული სულითაა ნასაზრდოები, იგი ქართულ პოლიფონიას ჰგავს, ყველა ფერი დომინანტია, ყველა ერთმანეთისგან განსხვავებული და ერთიანობაში — საოცრება. ყველა ფერს სურს პირველობა და პირველ ვიოლინოდ დამკვიდრება, მიუხედავად იმისა, რომ ნათელა იანქოშვილის შემოქმედებაში შავი და მწვანე ფერის ზეიმია.

იგი ცხოვრებითაც ყველასგან განსხვავებული ხელოვანი გახლდათ. 25 წლისამ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მისი პედაგოგები გახლდნენ დავით კაკაბაძე, სერგო ქობულაძე, მოსე თოიძე, თამარ აბაკელია, უჩა ჯაფარიძე — ქართული მხატვრობის პატრიარქები, მაგრამ ვინც კარგად იცნობს ნათელა იანქოშვილის შემოქმედებას, ადვილად დარწმუნდება, რომ მისი სტილი სრულიად განსხვავებული, ახლებური და თვითმყოფადია თავისი პედაგოგების სტილთან და მიმდინარეობასთან შედარებით. მაინც რა შეითვისა მან სამხატვრო აკადემიაში? ზოგადი კანონები, თავისი პედაგოგების შრომისმოყვარეობა და საქმის სიყვარული. შემდეგ იყო სიჩუმის წლები. თითო-ოროლა ნახატს თუ არ ჩავთვლით, რომელიც ჯგუფურ გამოფენებზე ხვდებოდა. მხატვარი კი მუშაობდა, ის დიდი საიდუმლო, რომელსაც უნდა მოენუსხა ათასობით მნახველი, ჯერ კიდევ წინ იყო. ამაში მხოლოდ ხელოვანი იყო დარწმუნებული და აი, 1960 წელი, პირველი პერსონალური გამოფენა, ფერთა ზეიმი, საოცარი პლასტიკა და გამაოგნებელი სტილი, ყოველგვარი იზმებისგან განსხვავებული და განზე მდგომი, ახალი მიმდინარეობა — იანქოშვილის სტილი.

შემდგომ 12 წელიწადში 8 პერსონალური გამოფენა, აღიარება არა მარტო სამშობლოში და მაშინდელ საბჭოეთში, არამედ მსოფლიოში. საოცარი ტილოები, განსაკუთრებით პორტრეტები... პორტრეტები, რომელთა უმეტესობაც მხატვრის პირადი საკუთრებაა, მაგრამ მსოფლიო მნიშვნელობისაა და ხალხს ეკუთვნის — „ირმა ჩოფიკაშვილი“, „შოთა ნიშნიანიძე“, „ლადო გუდიაშვილი“, „რეზო თაბუკაშვილი“, „სპარტაკ ბაღაშვილი“,„ანა კალანდაძე“, „მარინე თბილელი“, „დოდო ჭიჭინაძე“... შორს წაგვიყვანს, მათი რიცხვი რამდენიმე ათეულია, პეიზაჟები რაჭის, მშობლიური კახეთის (ქალბატონი ნათელა ქალაქ გურჯაანშია დაბადებული), ქართლისა და სვანეთის. ამ უკანასკნელს მთელი სერიები მიუძღვნა, ისევე როგორც მექსიკასა და კუბას. მონუსხული არიან უცხოელები — „როგორ შეუძლია ქართველ მხატვარს ისე გადმოსცეს ადგილობრივთა სული და ტრადიცია, თითქოს იქ იყოს დაბადებული“. ნათელა იანქოშვილის „ჯადოსნურ ფუნჯს“ კი ეს შეეძლო. მხატვრის შემოქმედებაზე ასობით გამოხმაურება, თბილი წერილი და წიგნია გამოცემული, ყველგან (საკავშირო მნიშვნელობისა იქნება იგი თუ რესპუბლიკური) ცნობილი ხელოვნებათმცოდნეები, მხატვრის კოლეგები, ჟურნალისტები ერთხმად აღნიშნავენ დიდი შემოქმედის ნიჭსა და ახლებურ მიდგომას პორტრეტისა და პეიზაჟის ჟანრში.

...ასობით დასურათებული წიგნი საბჭოთა თუ უცხოელი კლასიკოსებისა და გვირგვინი ნათელა იანქოშვილის შემოქმედებაში — ხარკი დიდ ჰუმანისტს, შოთა რუსთაველის უკავდავი პოემის დასურათხატება. ორ წელიწადში შექმნილი 18 ილუსტრაცია მიძღვნილი შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესადმი. „ვეფხისტყაოსნის“ უამრავ დამსურათებელთა შორის ყველასგან განსხვავებული, პოეტური, იანქოშვილისებური, არც ერთი შტრიხი და კომპოზიცია სხვა ხელოვანთაგან აღებული, თუმცა მისი ყველა პედაგოგი იმდროისთვის შოთა რუსთაველის დამსურათებელთა შორის საუკეთესო ადგილს იკავებდნენ (სერგო ქობულაძე, უჩა ჯაფარიძე).

ბევრს თუ ღირსებია ისეთი პატივი, როგორიც ქალბატონ ნათელა იანქოშვილს ერგო თავისივე ოცნების, გინდაც ანდერძის ასრულების მხრივ. თბილისის დედაპროსპექტზე, ოცდაექვს ნომერში, სადაც დიდი მხატვარი და მისი მეუღლე, არანაკლებ ცნობილი ლიტერატორი და მწერალი ლადო ავალიანი ცხოვრობდნენ, ქალაქის ხმაურს ორომტრიალსა და ქაოსს შეგიძლიათ, განერიდოთ და უცებ აღმოჩნდეთ ხელოვნების ოაზისში, მომაჯადოებელ ფერთა საუფლოში — ეს ნათელა იანქოშვილის „ერთი მხატვრის“ მუზეუმია. სტუმრობენ, მონუსხულნი რჩებიან არა მარტო უფროსი თაობის თბილისელები, ვინც კარგად იცნობდა მხატვარსა და მის შემოქმედებას, არამედ უცხოელებიც, მართალია, კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც ახალგაზრდებიც შეივლიან. არც უნდა გაგვიკვირდეს, თანამედროვე ახალგაზრდობა ნაკლებად სწყალობს ეროვნულ, საკუთარ ხელოვნებასა და შემოქმედებას. უცხოელები კი გვეძებენ, გვპოულობენ, გვაფასებენ.

დღეს, 30 აგვისტოს დიდ ქართველ მხატვარს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატსა და ღირსების ორდენოსან, დამსახურებულ ქალბატონს, სახალხო მხატვარ ნათელა იანქოშვილს 100 წელი შეუსრულდებოდა. საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (რუსთაველის გამზ. №27) მოეწყო მხატვრის პერსონალური გამოფენა, რომელსაც მხატვრის შემოქმედების თაყვანისმცემელთა უამრავი წარმომადგენელი დაესწრო როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან. გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა. სულ თერთმეტი წელია, რაც ზეციურ საუფლოში გადაინაცვლა ფუნჯის ჯადოქარმა, საოცარ ფერთა მესაიდუმლემ და ხელოვნების მოყვარულთ დაუტოვა თვითმყოფადი ტილოები, რომლებიც შეუძლებელია, სხვებში აგერიოთ, ეს ერთადერთი და განუმეორებელია.

თეიმურაზ დვალიშვილი

„სხვა ძე არ ესვა მეფესა“


„ლადო გუდიაშვილი“

„სპარტაკ ბაღაშვილი“

„გაზაფხული“

ილია ზაქაიძის კოსმოსური „ჩაკრულო“

ქართული სიმღერა ჩვენი ეროვნული საგანძურია, ღვთისგან ბოძებული სიმდიდრეა. მრავალხმიანობა ჩვენი ერის სიძლიერის, ერთობის სიმბოლური გამოხატულებაა. ეგვიპტური თქმულება გვეუბნება: „მუსიკა და სიმღერა ღმერთებისთვის გაჩენილი ლოცვაა, ხოლო მომღერალი ამ ლოცვით ღმერთებთან მოლაპარაკე“.

ჩვენში დასაბამიდან დღემდე თითქმის ყველა მღეროდა, ლხინში თუ ჭირში, გლეხი თუ აზნაური, თავადი თუ ხელმწიფე. ქართველი კაცი ომის დროსაც კი არ ივიწყებდა სიმღერას. ის იყო და არის სტიმულისა და მხნეობის მიმცემი, სულის საზრდო. „სიმღერა იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა“, — ბრძანებდა დიდი ილია ჭავჭავაძე.

„რადიოზე“ გაზრდილი თაობა დამეთანხმება, თუ როგორი გულისყურით და მონდომებით ველოდით მომხიბვლელი ხალხური სიმღერების მოსმენას, რომლებსაც არა ერთი აღიარებული შემსრულებელი ჰყავდა. არ დაგიმალავთ, იმ პერიოდში, ეს თითოეული ჩვენგანისთვის ერთგვარი შვებისა და ნუგეშის მომგვრელი საშუალებაც კი გახლდათ, რადგან ათას რამეზე დაფიქრებული და გაღიზიანებული ადამიანის გუნება-განწყობილების ამაღლებას უწყობდა ხელს. ნაცნობი ხმისა და სიმღერის გაგონება ჩვენს გულებს მალამოსავით ედებოდა და სასიამოვნო შეგრძნებებს იწვევდა.

...ერთხელაც რადიოს ქსელში ფანდურზე დამღერებული ძლიერი, გამორჩეული ტემბრის, ჩუქურთმებით მოქარგული „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა აჟღერდა. მსმენელი უმალ მასში ქართლ-კახური სიმღერების ცნობილ შემსრულებელ ილია ზაქაიძეს ამოიცნობდა. ეტყობოდა, რომ მას კარგად ჰქონდა გათავისებული ეს სიმღერა, ვინაიდან მართლაც ლაღად, თავისუფლად და შემართებით ასრულებდა. მასში აშკარად ქართველი კაცის სულის ამბოხი ისმოდა. როგორც თვითონ ილია ამბობდა, ეს სიმღერა მან ცნობილი შემსრულებლის ვანო ჯავახიშვილისგან შეისწავლა, თუმცა მასში ახალ-ახალი ნიუანსები შეიტანა და უფრო საინტერესო მოსასმენი გახადა. მომღერლის ბალადას ახლა „სალაღობო“ მოსდევდა, გენიალური პოეტის ლადო ასათიანის ამაღელვებელი სიტყვებით: „დავიღლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!..“

ილია ზაქაიძე 1924 წელს დაიბადა დუშეთში. სიმღერა, ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში დაიწყო. მეოთხე კლასში იყო, როცა სკოლის ფოლკლორული გუნდი ჩამოაყალიბეს, რომლის წევრი პატარა ილიაც იყო. მეგობრებთან ერთად ყველა ღონისძიებაზე გამოდიოდა.

1942 წელს ჯარში გაიწვიეს, თუმცა სიმღერისადმი ინტერესი და სიყვარული არასოდეს განელებია. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მშობლიური დუშეთის კულტურის სახლთან არსებულ გუნდში მღეროდა. ოლიმპიადებსა და კონცერტებზე ხშირად გამოდიოდა. თავისი შთამაგონებელი სიმღერებითა და ტემბრით ყველას ყურადღებას იქცევდა. პირველი წარმატება და საყოველთაო აღიარება ზაქაიძეს ფანდურზე დამღერებულმა „ბალადა ვეფხისა და მოყმისამ“ მოუტანა. ვოკალურ-საკრავიერი ხალხური შემოქმედების ტრადიციები ჩვენში მყარად დამკვიდრდა და დღესაც განსაკუთრებული ადგილი უკავია. თუმცა იგი, როგორც წესი, წერილობითი ფორმით არც აღირიცხება და ძირითადად საშემსრულებლო ზეპირი მემკვიდრეობით გადმოიცემა. რასაკვირველია, ნებისმიერ ხალხურ ნაწარმოებს თავისი ანონიმი ავტორი ჰყავს. წლების განმავლობაში ცალკეულ შემსრულებლებს თავისი ნიჭის, გემოვნებისა და საშემსრულებლო ოსტატობის შესაბამისად, გარკვეული კორექტივი შეჰქონდა ამა თუ იმ მუსიკალურ ქმნილებაში და ხელს უწყობდა ნაწარმოების გამრავალფეროვნებას, სწორედ ამაშია ის

სიმდიდრე და განუმეორებლობა, რაც ამა თუ იმ ხალხურ სიმღერას თან ახლავს და ასე ალამაზებს. ილია ზაქაიაძე ერთ-ერთი იმათაგანია, რომელიც სრულიად გამოკვეთილად და თავისებური ხელწერით გადმოსცემს სიმღერის ხასიათს და მრავალმხრივობას, რაც ყოველთვის გარკვეულ ინტერესს და აღფრთოვანებას იწვევდა მსმენელში. მისი მუსიკალური მონაცემები და შესაძლებლობები შეუმჩნეველი არ დარჩენია საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სხელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელს ვალერიან ცაგარეიშვილს, რომელმაც იგი 1957 წელს თავისთან სოლისტად მიიწვია, სადაც ზაქაიძე თითქმის 40 წელი მოღვაწეობდა. დასაწყისში მღეროდა დუეტებს, ქალაქურ (მედუდუკეთა დასის თანხლებით), სოლო საფანდურო სიმღერებს. მომავალში მისი რეპერტუარი თანდათან უფრო მრავალფეროვანი გახდა და პირველ ხმას მღეროდა ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ხალხურ სიმღერებში, როგორებიცაა: „ჩაკრულო“, „კალოსპირული“, „არხალალო“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“, „არწივი ვნახე დაჭრილი“, „არაგვისპირული საცეკვაო“ და სხვა.

ილია ზაქაიძის, როგორც თვითნასწავლი მომღერლის გამორჩეულ თვისებას წარმოადგენდა ის, რომ დაუღალავად და სრული მონდომებით იღვწოდა თავისი საყვარელი საქმის სრულყოფილებისთვის, ახალ-ახალი სიმღერებით ამდიდრებდა რეპერტუარს და მასში თავისებური შტრიხები შეჰქონდა. ბუნებით ნაბოძები შესრულების თავისებური მანერა და ტექნიკა ჰქონდა, რომელიც არავის ჰგავდა! მღეროდა ისე, როგორც მისი ხმა და ნაწარმოების ხასიათი მოითხოვდა. ამბობდა — სიმღერა შენით უნდა შექმნა, მოაჩუქურთმო და რაღაც უნდა შეჰმატოო.

კომუნისტურ ეპოქაში ქართველების დესპანი უცხოეთში ჩვენი ხალხური სიმღერა და ცეკვა იყო, რომლებსაც ცნობილი ანსამბლები ახორციელებდნენ. მათ არა ერთ ქვეყანაში — ევროპასა თუ ამერიკაში წარმოაჩინეს უნიკალური ქართული ხელოვნება, ამით მთელ მსოფლიოს აჩვენეს და გააცნეს ჩვენი ეროვნული საგანძური, დაამტკიცეს მისი მარადიულობა და უკვდავება. ამ მხრივ ილია ზაქაიძის როლი მართლაც გამორჩეულია. მან საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან ერთად საზღვარგარეთის მრავალი ქვეყანაში ააჟღერა ქართული სიმღერა, რითაც თავისი გამორჩეული ნიჭიერება აჩვენა. უნდა ითქვას, რომ ეს ის ხელოვანია, რომლის სიმღერა გასცდა ჩვენს პლანეტას და კოსმოსში გაიჭრა.

1977 წელს ავტომატურ საპლანეტთაშორისო სადგურზე გაუშვეს გრამფირფიტა სახელწოდებით „დედამიწის ხმები“. ჩანაწერი განკუთვნილი იყო კოსმოსში შესაძლო არსებული ცივილიზაციისთვის და მიზნად ისახავდა მათთვის დედამიწის შესახებ წარმოდგენის შექმნას. შინაგანი ღელვისა და სიამაყის რაღაც განსაკუთრებულ გრძნობას იწვევს ის ფაქტი, რომ კაცობრიობის მიერ ყველა დროის შექმნილ შედევრებს შორის, ამერიკელი მუსიკოლოგის ალან ლომაქსის ძალისხმევითა და შერჩევით, ამ ფირფიტაზე კახური „ჩაკრულოც“ მოხვდა, რომელსაც ილია ზაქაიძე და როსტომ საგინაშვილი ასრულებენ. ასე რომ, ჩვენი „ჩაკრულო“ კოსმოსში მოგზაურობს, საიდანაც მთლიანად დედამიწას და სრულიად მსოფლიოს ამცნობს ქართული გენის გაუხუნარ და უბერებელ ხელოვნებას. ალბათ, ამიტომაც ჩაგვესმის ეს ზღაპრული სიმღერა, როგორც მშობლიური მიწა-წყლის სადიდებელი ჰიმნი, მის სვე-ბედზე ფიქრით შთაგონებული ვედრება, ლოცვა თუ საგალობელი.

როგორც ცნობილია, კინოფილმ „ხევისბერ გოჩაში“ რეზო ლაღიძის სიმღერას „კარკუჩით ჩამაიყვანეს ქალი ლამაზი, მზიანი...“ ილია ზაქაიძე ახმოვანებს. კომპოზიტორმა მას მიუძღვნა ეს მელოდია.

იყო წლები, როცა ოჯახური ტრაგედიის გამო ილიას არ ემღერებოდა. სამწუხაროდ, მომღერალს სამივე შვილი გარდაეცვალა. თუ არა საყვარელი საქმე, ალბათ, ცხოვრების გაგრძელება ძალიან გაუჭირდებოდა. ფანდური გვერდზე მაინც ვერ გადადო, ხალხურმა სიმღერამ თვით დაუმარცხებელ სიკვდილსაც სძლია.

ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და სხვა სამთავრობო ჯილდოებით. გარდაიცვალა 2008 წელს, 84 წლის ასაკში.

ილია ზაქაიძემ თავისი საინტერესო შემოქმედებით მდიდარი და მრავალფეროვანი ფოლკლორული საგანძური შემოგვინახა, რაც თავისთავად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

გელა ძოძიაშვილი,
კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.
ტ: 551-49-19-97.

შუახევის მუნიციპალიტეტში „ჯვარიმინდორობა“ იზეიმეს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე შუახევის მუნიციპალიტეტში ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს „ჯვარიმინდორობას“ დაესწრო. ღონისძიებას აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები და შუახევის საპატიო მოქალაქეები დაესწრნენ.

აჭარა-გურიის ალპური ზონის ისტორიულ გზაგასაყარზე, თაგინურის მიმდებარე ტერიტორიაზე დღესასწაული მეშვიდედ გაიმართა.

ფესტივალი „საზოგადოება ჭვანელი“-ს ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით 2012 წელს დაფუძნდა. ფესტივალის მიზანი ადგილობრივი კულტურის, ფოლკლორისა და სამთო ტურიზმის პოპულარიზაციაა. ფოლკლორულ ფესტივალს სახელი ამ ტერიტორიაზე დაბრძანებული ჯვრის გამო ეწოდა. ჯვრის პატივსაცემად ტერიტორიას „ჯვარი მინდორი“ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში შეარქვეს.

ეროვნული ბანკის ახალი მონეტა

ეროვნულმა ბანკმა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას, სადაც საქართველო წელს საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარსდგება, 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა მიუძღვნა.

წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყანაა. საქართველოს ეროვნული ბანკი ეხმიანება ამ მნიშვნელოვან მოვლენას და მის აღსანიშნავად 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა — „ქართული წიგნი“ გამოუშვა.

„ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი წიგნის ბაზრობაა, რომელსაც ყოველწლიურად ათიათასობით უცხოელი დამთვალიერებელი და მონაწილე ჰყავს და უამრავი საერთაშორისო ჟურნალისტის და კრიტიკოსის ყურადღების ცენტრში ექცევა. აღნიშნულის ფარგლებში, ყოველწლიურად ერთ კონკრეტულ ქვეყანას საშუალება ეძლევა, მთელი წლის განმავლობაში, გერმანიის სხვადასხვა ქალაქში, წარმოადგინოს მთელი თავისი ინტელექტუალური რესურსი (ლიტერატურა, თეატრი, მუსიკა, ფერწერა, კინო, ფოლკლორი, სამზარეულო და სხვ.) და 2018 წელს ეს პატივი ჩვენს ქვეყანას — საქართველოს მიენიჭება. საქართველოს ეროვნული ბანკი ეხმიანება ამ მართლაც ეროვნულ ღონისძიებას — ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგენას. მოხარული ვარ, რომ მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ საქართველოს ეროვნული ბანკის მორიგი პროექტი, საკოლექციო დანიშნულების ვერცხლის ახალი მონეტა, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ძალზედ მნიშვნელოვან და საამაყო მოვლენას მივუძღვენით“, — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ.

მონეტის რეალიზაცია მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან დაიწყება და მისი შეძენა შესაძლებელი იქნება როგორც ეროვნული ბანკის საკასო ცენტრსა და ყვარლის ფულის მუზეუმში, ისე ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსებული ონლაინ მაღაზიის მეშვეობით. მონეტის სარეალიზაციო ფასი 75 ლარია.

არც ერთი ქვეყანა ისე არ გრძნობს თავს ბედის ანაბარად მიტოვებულად, როგორც საქართველო

„სამხრეთ კავკასიელ მეზობლებს ერთმანეთთან რთული ურთიერთობა აქვთ. ეს ფაქტი ევროპისთვის პრობლემაა, რუსეთისთვის კი — გავლენის განხორციელების შანსი. ანგელა მერკელმა სამი დღე გაატარა რუსეთის „წინა ეზოში“, რომელიც მოსკოვის ინტერესების ობიექტად ითვლება და იქ მდებარე სამივე სახელმწიფო — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი — დაარწმუნა, რომ ევროპა მათზე ფიქრობს და ზრუნავს. რა თქმა უნდა, ამაში, უპირველესად, რეგიონის უსაფრთხოება და სტაბილურობა იგულისხმება, რასაც სამივე ქვეყანა იზიარებს“, —ასე იწყება გავლენიანი გერმანული „Deutsche Welle“-ს მიერ მიქაელა კიუფნერის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია, რომლის შემოკლებულ ქართულენოვან ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს:

სამხრეთ კავკასიაში, გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, არც ერთი ქვეყანა ისე არ გრძნობს თავს ბედის ანაბარად მიტოვებულად და დავიწყებულად, როგორც საქართველო. სტუდენტებთან საუბრის დროს თბილისში ახალგაზრდებს მოთმინებამ უღალატა და გერმანიის კანცლერს პირდაპირ ჰკითხეს — როდის მიიღებთ საქართველოს ევროკავშირისა და ნატოს სრულუფლებიან წევრადო. ბოლოს და ბოლოს, თბილისმა ხომ ყველა „დავალება შეასრულა“ როგორც ეკონომიკის სფეროში, ასევე კორუფციასთან ბრძოლაში. გარდა ამისა, ქართველი სამხედრო მოსამსახურეები ავღანეთში ნატოს წევრების მხარდამხარ იბრძვიან. სტუდენტებმა ანგელა მერკელს „თავისუფალი სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი“ უწოდეს და აღნიშნეს, რომ მისგან ბევრის მოლოდინი აქვთ.

პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისათვის კი ყველაფერი გასაგებია. მისთვის არ ყოფილა მოულოდნელი ის, რაც ანგელა მერკელმა ჯერ კიდევ ვიზიტის დასაწყისშივე განაცხადა: **ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დადების, აგრეთვე ლიბერალური სავიზო რეჟიმის დაწესების შემდეგ საქართველოს უახლოეს ხანში ნატოში გაწევრიანების იმედი არ უნდა ჰქონდეს. ალიანსში მიღების ნაცვლად გერმანია საქართველოსთან ორმხრივ ურთიერთობას გააღრმავებს და მას ეკონომიკის განვითარებაში დაეხმარება. აშკარაა, რომ ისეთ „სანიმუშო მოსწავლისთვისაც“ კი, როგორიც საქართველოა, დასავლეთის მხრიდან გაწეულ მხარდაჭერას უხილავი საზღვარი მაინც აქვს.**

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა სტუდენტმა გერმანიის კანცლერს უსაყვედურა — რატომ არ ამბობთ სიტყვა „ოკუპაციას“, როცა ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულიაო, იმ ფაქტის გამო, რომ ანგელა მერკელმა „სამხრეთ ოსეთთან“ არსებული სრულიად რეალური დე ფაქტო საზღვარი მოინახულა, საქართველო ამისთვისაც მადლობელი დარჩა.

„DEUTSCHE WELLE“ (გერმანია)

ვის ემუქრება ხაჯიმბა?!

არავის მივცემთ უფლებას ჩვენს სუვერენიტეტთან, შიდა და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებლური ტონით გვესაუბროს!

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების მე-10 წლისთავთან დაკავშირებით რუსულ „ინტერფაქსს“ ინტერვიუ მისცა, რომელშიც განვლილი ათწლიანი პერიოდი შეაჯამა.

„აქცენტი“ ამ ინტერვიუს ქართულ თარგმანს გთავაზობთ:

„— ბატონო პრეზიდენტო, როგორ შეიცვალა რეგიონში უსაფრთხოების კუთხით ვითარება 2008 წლის ომისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ?

— რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარებამ მოგვცა შანსი პოლიტიკური და სამართლებრივი თვითდამკვიდრებისთვის და ფაქტობრივად, გარანტირება მოახდინა ჩვენი უსაფრთხოებისა. აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზისა და სასაზღვრო ჯარების არსებობა შესაძლებლობას გვაძლევს, მშვიდად განვავითაროთ ჩვენი ეკონომიკა და დავკავდეთ სახელმწიფო აღმშენებლობის საკითხებით.

— როგორ შეიცვალა მას შემდეგ ურთიერთობები თავად მოსკოვთან?

— ოფიციალური აღიარების კვალდაკვალ აფხაზეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობები შენდება იმგვარად, როგორც მიღებულია ორ თანასწორუფლებიან სახელმწიფოს შორის ურთიერთობების საერთაშორისო პრაქტიკაში. ხელმოწერილია 130-ზე მეტი ორმხრივი დოკუმენტი, რომელთა რეალიზება მეტყველებს ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ინტენსიფიკაციაზე. აქ უპირველესად თავდაცვისა და უსაფრთხოების, სასაზღვრო, ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ურთიერთქმედების საკითხებს ვგულისხმობ.

რუსეთის დახმარების გარეშე აფხაზეთს ძალიან გაუჭირდებოდა ომისშემდგომი აღდგენისა და ეკონომიკური განვითარების საკითხების გადაწყვეტა. ამიტომაც გულწრფელად ვემადლიერებით რუსეთს — მსოფლიოში ერთადერთ სახელმწიფოს, რომელიც არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ამტკიცებს აფხაზეთისა და მისი ხალხისადმი მეგობრულ განწყობას. რუსეთის ფინანსური დახმარება შესაძლებლობას გვაძლევს, შევინარჩუნოთ და განვავითაროთ ახალგაზრდა სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი სფეროები. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ჩვენი საკუთარი საბიუჯეტო მაჩვენებლები საგრძნობლად გაიზარდა. აფხაზეთს აქვს რესურსები ეკონომიკაში, აქვს ჯერ კიდევ აუთვისებელი ტურისტული შესაძლებლობები, ასევე აუთვისებელი პოტენციალი აგრარულ და სხვა სფეროებში. მოგვიწევს, უფრო აქტიურად და ხისტად გადავჭრათ ეს ამოცანები.

— რა დამოკიდებულება აქვს აფხაზეთის ხელისუფლებას საქართველოში ნატოს სწავლებების მიმართ?

—როგორც ჩანს, საქართველო სამხედრო რევანშის იდეაზე უარს არ ამბობს. სწორედ ამას ამტკიცებს ეს წვრთნებიც. ჩვენის მხრივ, ვაცნობიერებთ რა , რომ საფრთხე რეალურია, ვაწარმოებთ ერთობლივ მუშაობას აფხაზეთში დისლოცირებულ რუსულ არმიასთან ჩვენი თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად და რეგიონში დაძაბულობის ესკალაციის არდასაშვებად.

აფხაზეთი მშვიდობის მოყვარული ქვეყანაა. ჩვენ დაინტერესებულები ვართ რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ყველა აქტორი დაეყრდნოს ამიერკავკასიაში 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ რეალობას. პირველ რიგში, ეს საქართველოს და მის დასავლელ პარტნიორებს ეხებათ. მათ უნდა გაითავისონ, რომ აფხაზეთის მიმართ ბლოკადისა და სანქციების პოლიტიკა კონტრპროდუქტიულია. ჩვენ ვაღიარებთ მხოლოდ თანასწორუფლებიან ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ დიალოგს. არავის მივცემთ უფლებას, ჩვენს სუვერენიტეტთან, შიდა და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებლური ტონით გვესაუბროს“...

სერგეი შამბა: თუ კრიზისიდან არ გამოვალთ, მუხლებზე დავდგებით და საქართველოს ან რუსეთს თავიანთ შემადგენლობაში მიღებას ვთხოვთ!

ოკუპირებული აფხაზეთის ყოფილმა ე.წ. პრემიერ-მინისტრმა **სერგეი შამბამ** განაცხადა, რომ ღრმა კრიზისში არიან და თუ ამ კრიზისიდან არ გამოვლენ, მერე მუხლებზე დადგებიან და საქართველოს ან რუსეთს თხოვენ მათ შემადგენლობაში მიიღონ.

— ხელისუფლების მხრიდან სრულ უმოქმედობას ვხედავთ. უუნარონი არიან, რამე გააკეთონ. ხელისუფლებისგან ყოველთვის გვესმის, ადრე რა, უკეთესი იყო. ჩვენ არ გვსურს, როგორც ადრე იყო. ჩვენ უკეთესობა გვინდა. გვსურს, ვიღაცა ადგეს და გამოასწოროს ის, რაც ჩვენთან ხდება. ოთხი წელი გავიდა და ვხედავთ, რომ ამ პრეზიდენტს არ შეუძლია სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლა. ჩვენ გვჭირდება მტკიცედ განწყობილი ადამიანი, რომელიც დაიწყებს მოქმედებას. ყველა აღიარებს, რომ ჩვენ ღრმა კრიზისში ვართ, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, — განაცხადა სერგეი შამბამ.

მისივე თქმით, საჭიროა კრიზისიდან გამოსვლაზე ფიქრი.

— მე ვერ ვხედავ იმის პერსპექტივას, რომ ეს ხელისუფლება კრიზისიდან გამოგვიყვანს. თუ უახლოეს დროში ამ კრიზისიდან ვერ გამოვალთ, ისეთ უფსკრულში ჩავვარდებით, რომლიდანაც ვერასოდეს ვერ გამოვალთ. მაშინ რაში გვჭირდებოდა ეს ბრძოლა? მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ისეთი სახელმწიფო შევქმენით, რომელიც არასოდეს გვქონია. ისეთი თავისუფლება მივიღეთ, რომელიც არასოდეს გვქონია. და ამით სარგებლობა არ შეგვიძლია, ვინაიდან არაკომპეტენტური ხალხია ხელისუფლებაში.



ჩვენ ყველანი, მათ შორის მე, დამნაშავეები ვართ, რომ ისინი მოვიდნენ. რასაც მე ვხედავ, ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეუძლია ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს, ასლან ბჟანიაა. ხალხს უნდა ავუხსნათ, თუ რა ხდება. უნდა ავუხსნათ, რომ ხვალ ტრაგედია გველოდება, ისეთივე, როგორიც მე-19 საუკუნეში მოხდა, როდესაც ყველაფერი დავკარგეთ. კვლავ ყველაფერს დავკარგავთ და მერე მუხლებზე დავდგებით და საქართველოს ან რუსეთს ვთხოვთ, თავიანთ შემადგენლობაში მიგვიღონ. ნუთუ ეს გვინდა? მე ეს არ მსურს, — დასძინა სერგეი შამბამ.

◎ საყურადღებო გამოცემები

კაცებისთვისაც, ქალებისთვისაც, მოკლედ, ყველასთვის

ახლა საწერ მაგიდაზე ორი შესანიშნავად გაფორმებული და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უაღრესად აქტუალური, თანამედროვე მონაცემებით გაჯერებული წიგნი მიდევს, რომელთა ავტორი ცნობილი დასტაქარი, დიდად სახელოვანი ოჯახის არანაკლებ სასიქადულო შვილი, პროფესორი **გიორგი ბოჭორიშვილი** გახლავთ.

თავდაპირველად ორიოდ სიტყვა ავტორის შესახებ. იგი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრისა და თბილისის ჯანმრთელობის სახლის წამყვანი სპეციალისტი, ევროპის, ამერიკისა და საერთაშორისო უროლოგთა ასოციაციების ნამდვილი წევრი, მამაკაცის ჯანმრთელობის საქართველოს ასოციაციების პრეზიდენტი გახლავთ. პროფესორი ბოჭორიშვილი ასევე 110 პუბლიკაციის, 6 მონოგრაფიის, 3 გამოგონებისა და ერთი პატენტის ავტორია.

ორივე წიგნს ერთობ უცნაური, თან მსგავსი სახელწოდება აქვს: ერთის დასათაურებაა „მხოლოდ მამაკაცებისთვის“, მეორესი კი — „მხოლოდ ქალებისთვის“.

იმის მიუხედავად, რომ მონოგრაფიებმა სპეციფიკურობასა და დანიშნულებას თავად სათაურები მიგვანიშნებენ, რაც სქესებს შორის ფიზიოლოგიური თავისებურებითაა განპირობებული, ორთავეს ანოტაციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სპეციალისტების გარდა, ისინი მკითხველთა ფართო წრეებისთვისაცაა განკუთვნილი. პირველ მათგანთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ეს **„დიდად დაეხმარა მრავალ მამაკაცს პროსტატის კიბოს სწორ დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში“,** ხოლო, რაც შეეხება მეორეს, მის მოკლე ანოტაციაში მითითებულია, რომ **„ავტორი მარტივი, ფართო მკითხველისთვის გასაგები ენით მოგვითხრობს ქალებში შარდის შეუკავებლობის, ქვემო საშარდე გზების ანთების, მენჯის ტკივილის სინდრომის შესახებ. ცალკეა განხილული სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ურეთრალური სინდრომისა და ორსულობის დროს რიგი უროლოგიური დაავადების მიმდინარეობის თავისებურებები“.**

ამ მხრივ, ვფიქრობ, ორივე მონოგრაფიის შინაარსის შესახებ მკითხველისთვის მთავარი ინფორმაცია ცნობილია, მით უმეტეს, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენელთათვის პროსტატასა და მასთან დაკავშირებული პრობლემების მნიშვნელობაზე ბევრი განმარტების გაკეთება საჭირო არ არის. იმავეს





თქმა შეიძლება ქალების ორსულობისა და სხვა პერიოდებში რიგ უროლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით. ორივე მონოგრაფიაში დაინტერესებული მკითხველი, ისევე, როგორც დარგის სპეციალისტი, უამრავ საგულისხმო მასალას ნახავს პროსტატის კიბოს დიაგნოსტიკის, მკურნალობის სხვადასხვა ალტერნატიული მეთოდების, მათი ეკონომიკური ასპექტების, ასევე ექიმისა და ავადმყოფის განცდების შესახებ.

„უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა პროსტატის კიბოს სკრინინგსა და დიაგნოსტიკის თვალთახედვით, რამაც ადრეული სტადიების გამოვლენა გახადა შესაძლებელი. ამ სტადიებში ონკოლოგიური დაავადებისგან ავადმყოფის სრული განკურნება დღეს უკვე რეალობად იქცა“, — აღნიშნავს გიორგი ბოჭორიშვილის წიგნის „მხოლოდ მამაკაცებისთვის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ევროპის უროლოგთა წევრი, ლოვენის კათოლიკური უნივერსიტეტის უროლოგიური კლინიკის ხელმძღვანელი, პროფესორი **ჰეინ ვან ჰოპელი.**

მეორე ნაშრომში კი განხილულია შარდის შეუკავებლობის მიზეზები, ინტერსტიციური ცისტიტისა და უერთრალური სინდრომის რაობა და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით ნამდვილად საგულისხმოა გიორგი ბოჭორიშვილის ნაშრომის „მხოლოდ ქალებისთვის“ რედაქტორის, მეან-გინეკოლოგის, მედიცინის აკადემიის დოქტორის რევაზ ბოჭორიშვილის ანოტაციის მცირედი ამონარიდი: **„წიგნში სრულად მართებულადაა აღნიშნული იმ პრობლემის წარმოქმნაში არასწორი ჩვევების, პირადი ჰიგიენის წესების დარღვევის, ან ზოგიერთი საკვების თუ სასმლის, განსაკუთრებით ყავის გადაჭარბებული სმა“.**

ამდენად, ვფიქრობ, ჩვენი მცირედი პუბლიკაციის მეშვეობით მკითხველს წარმოდგენა შეექმნა პროფესორ გიორგი ბოჭორიშვილის ორი, უაღრესად აქტუალური ნაშრომის არსსა და დანიშნულებაზე, დანარჩენს კი თავადაც განსჯით.

ოთარ ტურაბელიძე

შსს მძღოლებს მოუწოდებს!

შსს მძღოლებს მოუწოდებს, ვიდეოჯარიმის შესახებ ინფორმაციის დროულად მიღებისთვის, გადაამოწმონ საკუთარი საკონტაქტო მონაცემების ვალიდურობა.

ამის შესახებ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრის დირექტორმა გიორგი არსოშვილმა ისაუბრა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო მთელი საქართველოს მასშტაბით აგრძელებს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განვითარებას, რომლის მიზანია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის დაფიქსირება.

ამის პარალელურად, მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სისტემაში რეგისტრირებული იყოს თითოეული მოქალაქის რეალური საკონტაქტო ინფორმაცია — რეგისტრაციის ადგილი, მისამართი და მოქმედი მობილურის ნომერი. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შესახებ მოქალაქის დროული ინფორმირება.

მოსახლეობას შევახსენებთ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმის მიღების წესებს. კერძოდ, ჭკვიანი კამერების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის დაფიქსირებისას, დამრღვევ მოქალაქეს სისტემაში დაფიქსირებულ მისი მობილური ტელეფონის ნომერზე მყისიერად ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება, სადაც დეტალურად არის აღწერილი დარღვევის ადგილი, დრო, გადახდის ვადები და პროცედურები.

ჯარიმის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში გადახდის შემთხვევაში, მოქალაქე სარგებლობს 20% -იანი შეღავათით.

იმ შემთხვევაში, თუ პირი ვიდეოჯარიმას მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში არ გადაიხდის, საჯარიმო ქვითარი, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მას ფოსტის მეშვეობით ეგზავნება, ხოლო ვიდეოჯარიმის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, 30-დან 60 დღის ვადაში, პირს ვიდეოჯარიმა განმეორებით ეგზავნება.

საჯარიმო ქვითრის ფოსტის მეშვეობით ორჯერ ჩაუბარებლობის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებას ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.police.ge აღნიშნული წესი ამოქმედდა 2017 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შესული რეგულაციით, რომლის თანახმად ვიდეოჯარიმის ქვითარი სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე — police.ge-ზე საჯაროდ ქვეყნდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თითოეულ მოქალაქეზე სისტემაში ფიქსირდებოდეს რეალური და სწორი მონაცემები. შესაბამისად, მოვუწოდებთ მოსახლეობას, ჯარიმების შესახებ ინფორმაციის დროულად მიღების მიზნით, გადაამოწმონ საკუთარი მონაცემების ვალიდურობა, აგრეთვე რეგისტრაციის ადგილის ან მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში, დროულად უზრუნველყონ სისტემაში მონაცემების განახლება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია შინაგან საქმეთა სამინისტრო მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ფილიალში ან საპატრულო პოლიციის მომსახურების ერთიან ცენტრში.

შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე, ქვეყნის მასშტაბით უკვე დამონტაჟებულია 536 „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა, მათ შორის, სიჩქარის მზომი სექციური რადარები. წლის ბოლომდე, ქვეყანაში ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის განვითარების ფარგლებში სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, როგორც მაგისტრალურ გზებზე, ასევე, შიდა საქალაქთაშორისო გზებზე, დაგეგმილია დამატებით 1 200 ჭკვიანი ვიდეოკამერის ამოქმედება“, — განაცხადა მან.

სად, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1918 წლის 20 აგვისტოს

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დეკრეტით „ქალაქებში უძრავ ქონებაზე კერძო საკუთრების უფლების შეცვლის შესახებ“ საბჭოთა რუსეთში შეიცვალა კერძო საკუთრების უფლება.

1940 წლის 20 აგვისტოს

საბჭოთა აგენტმა რამონ მერკედერმა თავში ყინულსამტვრევი წრიაპის ჩარტყმით მოკლა სსრ კავშირიდან გაძევებული ლევ ტროცკი, ერთ დროს ლენინის მარჯვენა ხელი, ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი, წითელი არმიის შემქმნელი, სტალინის შეურიგებელი მოწინააღმდეგე.

1968 წლის 21 აგვისტოს

ანტიკომუნისტური მღელვარების ჩასახშობად ჩეხოსლოვაკიაში შევიდნენ საბჭოთა ჯარები, რომლებსაც შემდეგ შეუერთდნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე კიდევ ოთხი სახელმწიფოს ჯარები.

1634 წლის 24 აგვისტოს

სიკვდილით დასაჯეს ოსმალეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, წარმოშობით ქართველი, არზრუმის ფაშა აბაზა მეჰმედ ფაშა. ის ბავშვობაში აფხაზეთიდან მოიტაცეს და ოსმალეთში გაყიდეს. გზა გაიკვლია ნიჭის წყალობით. ნიკოლოზ ირბახის გადმოცემით, აბაზა ფაშა ქართლის მეფის თეიმურაზისა და ქრისტიანების დიდი მეგობარი იყო. მისი ხელშეწყობით ირანელებმა ოსმალებისგან გაათავისუფლეს ახალციხე, ბოლოს ბოსნიის ოლქის გამგებელი იყო. მონაწილეობდა პოლონეთის წინააღმდეგ ომში.

1549 წლის 25 აგვისტოს

ოსმალეთის მეორე ვეზარმა აჰმედ ფაშამ 40-ათასიანი ჯარით ლაშქრობა დაიწყო საქართველოში. აიღო და დაიკავა სამცხე-საათაბაგოში თურთუმის ციხე და სხვა 35 ციხე: 14 ციხე დაანგრიეს, 21-ში თავისი გარნიზონები ჩააყენეს. ამის შემდეგ ოსმალები სამცხე-საათაბაგოში თავისი მმართველობისა და ზნე-ჩვეულებების დანერგვას შეუდგნენ.

1812 წლის 26 აგვისტოს

ბოროდინისთან გაიმართა რუსებისა და ფრანგების გენერალური ბრძოლა, მოწინააღმდეგეთა ძალები თითქმის თანაბარი იყო. ნაპოლეონის მთავარი ძალების იერიში ბაგრატიონის ფლეშებზე მოხდა. მათ დიდი მსხვერპლის ფასად აიღეს ფლეშები. ინფანტერიის გენერალი პეტრე ბაგრატიონი სასიკვდილოდ დაიჭრა. მეორე დილას რუსებმა უკან დაიხიეს. მაგრამ ნაპოლეონმა ვერ მიაღწია, ვერ შეძლო რუსთა არმიის განადგურება გენერალურ ბრძოლაში. ბოროდინოს ბრძოლა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1812 წლის ომში, რამაც განაპირობა ნაპოლეონის საბოლოო დამარცხება.

ბოროდინოს ბრძოლაში გარდა პეტრე ბაგრატიონისა, ჯარების სხვადასხვა შენაერთებს სარდლობდნენ ქართველი გენერლები: ი. და ს. ფანჩულიძეები,ბიბილური, ვ. და დ. იაშვილები, ი. სულოღაშვილი, რ. ბაგრატიონი (პ. ბაგრატიონის ძმა), პოლკოვნიკები ი. და ს. ჯავახიშვილები და სხვ.



◎ ერთა ლიგა

ვაისის არჩევანი

რაღა დარჩა, ერთი კვირაც და უეფას ერთა ლიგა დაიწყება. გარდა იმისა, რომ ეს ტურნირი ისტორიაში პირველად ტარდება, ქართველი გულშემატკივრისთვის იმედთან ასოცირდება. ნამდვილად ასეა — საქართველოს ნაკრები უსუსტეს, ბოლო დივიზიონშია და შანსი აქვს ევროპის 2020 წლის ჩემპიონატზე გავიდეს.

ეს იმ შემთხვევაში, თუ „ჯვაროსნები“ დივიზიონში (16 გუნდში) ჩემპიონობას მოახერხებენ. თუმცა, ეს უფრო შორეული გეგმებია. იქამდე აუცილებელია ქვეჯგუფში პირველობა, იმ ქვეჯგუფში, სადაც საქართველოს ნაკრები ყაზახეთის, ანდორისა და ლატვიის ნაკრებებს დაუპირისპირდება. რა თქმა უნდა, ფეხბურთში პროგნოზები უმადური საქმეა, წინასწარ საუბარი და ქულების დაგეგმვა არ ივარგებს, მაგრამ მაინც — დღეს ფურცელზე ქართველთა მთავარ კონკურენტად ყაზახეთის ნაკრები მოსჩანს.

დიახ, ყაზახეთის ნაკრები, რომლის რიგებშიც ერთადერთი ლეგიონერია, მაგრამ დანარჩენი ფეხბურთელები ოდენ 3 კლუბს წარმოადგენენ და, ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა, შეთამაშების პრობლემა ამ გუნდს არ ექნება. თავის მხრივ, შემადგენლობა უკვე დაასახელა ვლადიმირ ვაისმაც. თავიდანვე ვთქვათ, რომ სლოვაკმა სპეციალისტმა მეტნაკლებად ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარა თავი და, ალბათ, ბევრი კითხვები ამა თუ იმ ფეხბურთელის გამოუძახებლობის შესახებ არაა. თუმცა, არც მთლად უამისობაა და ამაზე დღევანდელი წერილის მეორე ნაწილში ვისაუბრებთ. იქამდე იმ ფეხბურთელებზე ვთქვათ, რომლებიც სიაში არიან.

მეკარეები

გიორგი მაკარიძე, რომელმაც სეზონი დაიწყო და თამაშობდა, ტრავმირებულია. შესაბამისად, ის გუნდში არაა. ვაისმა არ გამოიძახა არც ნუკრი რევიშვილი, რომელსაც ცოტა ხნის წინათ უდიდესი ტრაგედია გადახდა თავს და რომელსაც ვაისი ბოლო ხანებში ისედაც არ სწყალობდა. სლოვაკმა უარი თქვა ზაურ მახარაძის სამსახურზეც, რომელიც ლუგანსკის „ზორიაში“ მუდმივად თამაშობს და რომელიც ბოლოს მოედანზე გასულ უიქ-ენდზე გამოჩნდა. აი,გუნდში მიწვეულ სამ მეკარეს რაც შეეხება — საქმე სახარბიელოდ ნამდვილად არაა.

გიორგი ლორია უკვე კარგა ხანია სათამაშო პრაქტიკის მწვავე დეფიციტს განიცდის და ბოლოს ოფიციალურ შეხვედრაში მონაწილეობა ჯერ კიდევ აპრილში მიიღო. მერე იყო ტრავმაც და, მოკლედ, ორი აზრი არაა — გიორგი საუკეთესო კონდიციებში ვერ იქნება. დებიუტანტია ლაზარე კუპატაძე, რომელიც რეალურად მესამე კიპერის ფუნქციებს შეასრულებს. ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე კი როინ კვასხვაძე ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად გვესახება. „ტორპედოს“ კაპიტანი ევროთასებზე საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და ნათელია, რომ ოპტიმალურ კონდიციებშია. თანაც, სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას კარგა ხანია აღარ უჩივის. თუმცა, პრობლემას აქაც ვაწყდებით — როინს სანაკრებო გამოცდილებით დაკვეხნა ნამდვილად არ შეუძლია, რადგან დღემდე მხოლოდ 7 შეხვედრას იტევს და აქედან ბოლო ოფიციალური თამაში ზუსტად 4 წლის წინანდელით თარიღდება.

დაცვა

დაცვის ხაზი ის რგოლია, რომელშიც ვაისს საფიქრალი თითქმის არ აქვს და შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად აქ ულხინს. ეს, ულაპარაკოდ, დაცვის ცენტრზე ითქმის: გურამ კაშია, სოლომონ კვირკველია, დავით ხოჭოლავა და ჯიმი ტაბიძე. გვარებიდანაც ჩანს, რომ ვაისს ფართო არჩევანი აქვს და უფრო კონკრეტულადაც გეტყვით:

გურამ კაშიამ „ვიტესი“ დატოვა და ამერიკულ ლიგაში ირჯება. „სან ხოსეში“ მიმდინარე სეზონში უკვე მოასწრო ექვსი სრულფასოვანი შეხვედრის ჩატარება და ორჯერ ტურის სიმბოლურშიც მოხვდა. მოკლედ, სათამაშო პრაქტიკის არქონას ნამდვილად არ უჩივის. იგივე ითქმის სოლომონ კვირკველიაზეც, რომელმაც პრემიერლიგაში 5-ჯერ ითამაშა შეუცვლელად და ერთხელ სუპერთასზე, სადაც გააძევეს. ჩინებულად დაიწყო სეზონი დავით ხოჭოლავასთვის, რომელიც „შახტარის“ სასტარტო შემადგენლობაში სისტემატურად ხვდება. მან პრემიერლიგაში ექვსივე თამაში შეუცვლელად ჩაატარა და გოლიც გაიტანა (11 აგვისტოს, „ვორსკლასთან“). და ჯიმი ტაბიძე, რომელიც რუსულ „უფაში“ მუდმივად თამაშობს. „უფა“ ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არაა და აგერ, ევროპა ლიგის პლეი-ოფშიც თამაშობს. ქართველის აქტივშია მიმდინარე სეზონში 8-ჯერ თამაში (სამჯერ რუსეთის ჩემპიონატში, 5-ჯერ — ევროპა ლიგაზე).

რაც შეეხება ფლანგებს — ოთარ კაკაბაძემ „ხიმნასტიკში“ ორი თამაში ჩაატარა შეუცვლელად და ნელ-ნელა კონდიციებში შედის, ხოლო გიორგი ნავალოვსკი მინსკის „დინამოში“ ერთი თვის წინ გადავიდა. ორჯერ ბელარუსის ჩემპიონატში ითამაშა, ერთხელ — ევროპა ლიგაზე. ლატვიაში ლაშა შერგელაშვილი მუდმივად თამაშობს. სხვათა შორის, ის მხოლოდ გაფართოებულ შემადგენლობაში იყო და ტრავმირებული ლაშა დვალი ჩაანაცვლა, რომელიც პოლონეთში ასევე მუდმივად მოედანზეა.

ნახევარდაცვა, საყრდენი ზონა

ჯაბა კანკავა, ნიკა კვესკვესკირი, გიორგი აბურჯანია და ვაკო გვილია. ვაისს ცენტრალური ნახევარდაცვის დაკომპლექტება ზემოხსენებული ფეხბურთელებისგან მოუწევს.

გვილია, კვეკვესკირი და კანკავა თამაშობენ, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ იდეალურ მზადყოფნაში არიან. გვილიას შვეიცარიის ჩემპიონატში უკვე გოლიც აქვს გატანილი. აი, რაც შეეხება აბურჯანიას, ესპანურ „ლუგოს“ ახლახან შეუერთდა და ჯერაც ადაპტაციის პერიოდს გადის. თუმცა, ორჯერ შეცვლაზე თამაში მაინც მოუწია.

თავდამსხმელის უკანა ზონა

უთამაშებელი ფეხბურთელები აქაც არ გვყავს. ვაკო ყაზაიშვილი ორი კვირის წინათ MLS-ის ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა და დუბლიც მიითვალა. გიორგი მერებაშვილმა მცირე ტრავმა მიიღო, მაგრამ 6 სექტემბრისთვის მზად იქნება.

ჯაბა ჯიღაური ფრანგულ „გრენობლში“ ირჯება, თუმცა, ჯერჯერობით არაა მაინცდამაინც სასურველ კონდიციებში, ისევე როგორც გიორგი პაპუნაშვილი. მეტიც, ეს უკანასკნელი ლა ლიგა 2-ის საწყის ორ ტურში ოდენ ცვლილებაზე თამაშით კმაყოფილდება. გიორგი არაბიძეს „ნასიონალში“ შანსი ერთხელ მიეცა და ბოლო წუთზე პენალტი ვერ გაიტანა, გასულ ტურში კი თადარიგში დარჩა.

სამაგიეროდ, გიორგი ჩაკვეტაძის გვეიმედება! 18 წლის ქართველი „გენტის“ უცვლელ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა და მთავარი მწვრთნელი მუდმივად ენდობა. გიორგი ყოველ თამაშში აქტიურია, თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს და მარგი ქმედების კოეფიციენტი დაბალია — ამ ეტაპისთვის ოდენ ერთ საგოლე პასს გამორჩა. გვეიმედება ოთარ კიტეიშვილიც. მას არ აქვს საკმარისი სანაკრებო გამოცდილება, მაგრამ გრაციის „შტურმს“ ჩინებულად მოერგო და ბოლო ტურში დიდებული თამაში აჩვენა. ვნახოთ, რამდენი დრო დაეთმობა ოთარს ვაისისგან.

და ბოლოს, თორნიკე ოქრიაშვილი. იგი საქართველოს ნაკრებისთვის ნამდვილად ფასდაუდებელი ფეხბურთელია და მისი თამაში ბევრ რამეს განაპირობებს. უბრალოდ ეგაა, რომ ოქრიაშვილმა ორი უმძიმესი ტრავმა გადაიტანა და, ფაქტობრივად, ბოლო 1 წელი საერთოდ არ უთამაშია. მართალია, „კრასნოდარის“ მეორე გუნდში დაიტვირთა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. თანაც, ერთია მეორე გუნდში თამაში და მეორე — ასტანაში, უშუალო კონკურენტ, ხისტ ყაზახეთთან ხელოვნურ საფარზე. ეს შეიძლება დიდი პრობლემა გახდეს.

თავდასხმა

იგივე ითქმის ლევან მჭედლიძეზეც, რომელსაც 2017 წლის აპრილის მერე ოფიციალურ შეხვედრაში არ უთამაშია. ეს ძალიან დიდი დროა. იტალიის ჩემპიონატში იგი ჯერჯერობით ოდენ სათადარიგოთა სკამით იფარგლება და არავინ იცის, რამდენად იქნება 90 წუთის სათამაშოდ მზად. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ლევანი იდეალური მზადყოფნისგან შორს უნდა იყოს.

3-თვიანი იძულებითი უქმობა ახლახან დაასრულა გიორგი ქვილითაიამ, რომელმაც ჯერ დუბლებში ითამაშა შედეგიანად, მერე მთავარ გუნდში, 87-ე წუთზე შევიდა მინდორზე და პირველივე შეხებით გამარჯვების გოლი გაიტანა. რა თქმა უნდა, არც ქვილითაიაა ჯერ კონდიციების პიკზე მიუხედავად იმისა, რომ გოლი გაიტანა, თუმცა, ეს დამაიმედებელი ფაქტია. აქვეა ნიკა კაჭარავაც, რომელიც ერთადერთი ფორვარდია, რომელსაც ბოლო პერიოდში ტრავმა არ ჰქონია. თუმცა, პრობლემა აქაც არსებობს — კვიპროსის ჩემპიონატი ოდენ 4 დღის წინ დაიწყო და საუკეთესო კონდიციებში ვერ ხვდება სანაკრებო შეკრებას.

გაფართოებული შემადგენლობა

ლევან გეგეჭკორი, ალექსანდრე კობახიძე, ლუკა ზარანდია, საბა ლობჟანიძე, ბუდუ ზივზივაძე — ეს იმ ფეხბურთელთა ჩამონათვალია, რომლებიც ნაკრების მთავარ სიაში იმ შემთხვევაში მოხვდებიან, თუ ვინმე ტრავმას მიიღებს (რაც, იმედია, არ მოხდება).

ასეთ შემთხვევასთან უკვე გვქონდა საქმე და როგორც ზემოთ ვთქვით, ლაშა დვალი ლაშა შერგელაშვილმა ჩაანაცვლა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

ნიკოლოზ ბასილაშვილმა გამარჯვებით დაიწყო

საქართველოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ამერიკის ღია ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყო. მან სლოვენიელი ალიაჟ ბედენე დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დაამარცხა.

შეხვედრა სამი საათი და 19 წუთი გაგრძელდა. პირველი სეტი ნიკოლოზმა 6:2 მოიგო, მეორეში 4:6 დამარცხდა, მესამე კვლავ 6:2 მოიგო, მეოთხეში კი ასევე 2:6 დამარცხდა. გადამწყვეტ პარტიაში, რომელიც 41 წუთი გაგრძელდა, ქართველმა 6:4 იმარჯვა.

ბასილაშვილი, რომელიც მსოფლიოს 37-ე ჩოგანია, დღეს მომდევნო ეტაპზე ამერიკელ ჯეკ სოკს შეხვდება, რომელიც რეიტინგში მე-18 პოზიციას იკავებს.

ამერიკის ღია ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 53 მილიონი დოლარია. ტურნირის პირველი ნომერი რაფაელ ნადალია, მეორე კი — როჯერ ფედერერი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რინგი ციხეში

ხურციძე დაჭრეს

ძართველი მოკრივე ავთანდილ ხურციძე ბრუკლინის ციხეში დაჭრეს. როგორც გამოცემა Crimerussia იტყობინება, მასთან ერთად დაჭრილია ე.წ კანონიერი ქურდი რაჟდენ შულაია.

სწორედ შულაიას თარჯიმანზე დაყრდნობით ავრცელებს წყარო აღნიშნულ ინფორმაციას. მომხდარის მიზეზი უცნობია, მაგრამ ცნობილია ის, რომ კონფლიქტი პატიმრების გასეირნებისას დაიწყო. შელაპარაკება შულაიასა და ლათინოამერიკული კრიმინალური დაჯგუფების ლიდერს შორის მოხდა, ხოლო ხურციძემ მხარი შულაიას დაუჭირა.

როგორც ზემოხსენებული წყარო წერს, ლათინოამერიკელები რაოდენობრივად აღემატებოდნენ დაპირისპირებულ მხარეს და ცივ იარაღსაც იყენებდნენ. ციხის ადმინისტრაციის ჩარევის შედეგად ჩხუბი შეწყდა, ხოლო ხურციძე და შულაია ციხის საავამდყოფოში გადაიყვანეს.

ავთანდილ ხურციძის მდგომარეობა უფრო მძიმე გახლდათ — მას ჭრილობა სახის არეში ჰქონდა მიყენებული, სამედიცინო დახმარების ჩატარების შემდეგ კი ორივე ქართველი კარცერში გადაიყვანეს. წყარო არ აკონკრეტებს, დაშავდნენ თუ არა თავდამსხმელები.

შეგახსენებთ, რომ ავთანდილ ხურციძე WBO-ს ვერსიით მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია და 2017 წლის 8 ივნისს აშშ-ში დააკავეს.

კოგა კოგახიძე

◎ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲐᲮᲘᲚᲘ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲐᲜ

ᲮᲕᲐᲚ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ!..

ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით, 2018 წლის 30 ივლისს ჩვენს ქვეყანაში მოახდინა მარიხუანის ლეგალიზაცია, რითაც, ფაქტობრივად, დააკანონა ნარკომანია.

აშშ-ის ჯანდაცვის სამინისტრომ 14-პუნქტიანი განცხადება მიუძღვნა მარიხუანის მავნებლობას, ჩვენთან კი მისი მოხმარება დააკანონეს.

უნდა გვახსოვდეს,რომ ნარკოტიკების მიღების ნებართვა არის მტრობა ჩვენი ერისა...

მივმართავ ყველას,უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებას, ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას, რომ გავუფრთხილდეთ სამშობლოს, გავუფრთხილდეთ შვილებს; უნდა გვახსოვდეს, რომ ნარკოტიკის ყოველი გასინჯვა დაცემის დასაწყისია...

ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ტკივილ-ზეიმით, გავაცილეთ ორი ათასი,
რიგით მესამეც გასხივდება დროში, — წამებად
მაინც ვერ შეეწვდით, ვერ ვემზევეთ
სულის კათარზისს,
ნუთუ, არ კმარა — ქრისტეს ჯვარცმა,
ქრისტეს წამება?!..

ძალავ, ციურო! — მო ცით, მო ზღვით,
მო მთით, მო ველით,
ფესვით, ყლორტებით, სულ გაქრობას
ახლა მოველით, —
ეს არის: დარდის მეხთატეხა — ერის, — ყოველის,
ეს არის: ცრემლის ოკეანე,— ხალხის! — ყოველის!..

რატომ მივნებდეთ ბანგ-კაიფის მზაკვრულ ეშვა პირს?!
— შუღლით ვმცირობდით, სულ არ გავწყდით
მაინც, ამ დავით
მთელ პლანეტაზე გაწოლილი — გველი, ვეშაპი,
ჩანთქმით, ჩაყლაპვით გვემუქრება მოდგმას — ადამის...

ბედს ვემდუროდით ოდითგანვე, გონით ბანდაბალს,
გლეჯვის, ტაცების და სისხლისღვრის იყო ომები,
რის შავი ჭირი, რის ქოლერა, რის სხვა ჯანდაბა?! —
კურდღლის ტყავებად იქცევიან დღეის ლომებიც...

ამ ჭირს მხილება როდი უნდა ჩუმი ჩურჩულით?! —
სატანისაგან წარსახოცად, ამ ცეცხლს, მობერილს,
ფანტასტიური, საზარელი, ავი ურჩხულით
სამიათას წელს არ დარჩება ამბის მთხრობელიც...
ვინ დაემალოს ნარკოისარს — სადმე, სანგარში?!..

ხვალის იმედი — დედამიწის, სულს ლევს
მკვნესარი,
დღეს ზარით უნდა დარისხება!
ზარით, — განგაშის!..
აზრი, — სიცოცხლის გადარჩენის,
მხოლოდ, დღეს არი!..

აპოკალიფსი დგება, თითქოს ერთად ასერთი,
ვეღარ გვიშველის დოლარისთვის,
ფხოჭვა, ჭაჭვანი,
კაცობრიობას არ ჰყოლია მტერი ასეთი,
დადგება დრო და... არ იქნება — კაცის ჭაჭანიც!..

გაასმაგებით ემატება
მსხვერპლი შავ სიას,
თვალს და ხელს შუა
მომავალი —
დნება, გვიქრება,
დღეს სასწაულით გადარჩენის
ბოლო შანსია,
ხვალ ყველაფერი, ყველაფერი,
გვიან იქნება!!!..

ᲤᲐᲠᲜᲐ ᲠᲐᲘᲜᲐ

◎ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ — ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ

ᲤᲘᲜᲯᲐᲜᲘ

სულ უნებლიეთ გატყდა ფინჯანი
და ნუ იჯავრებ!
ქვეყნად იმდენი იმსხვრევა ბედი,
ფინჯნით ნაკლები, ან ფინჯნით მეტი
რასმე რომ ნიშნავს, არ დაიჯერო!

ᲓᲐᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ

სიზმრებს მივდევთ, ზღაპრებს მივდევთ!
აღარ გვინდა გამოვფხიზლდეთ,
რომ გავერკვეთ, გზა სად მიდის
საიმედოდ, მკვიდრად, უღალატოდ?
დავიქანცეთ ნერწყვის ყლაპვით,
დღემდე მაინც არ ჩანს „მაპი“,
კარს ხსნის,მაგრამ ...
გზას არ გვაძლევს „ნატო“!
„სამშობლოდან“ გამოყრილთა
მოლოდინმა ჩამოყვინთა,
და მომავლის გზაზე ბინდია,
მახსოვრობა რა მოკლეა?
თვალებს ლიბრი ამოჰკვრია...
საქართველო დამოკლეა,
და მახვილი ბეწვზე ჰკიდია!

ᲘᲛᲔᲓᲘᲡ ᲠᲘᲑᲘᲠᲐᲑᲝ

არ დაელამდე, ყორნები თუ გადაგიფრენენ,
სხივთა მკლავებზე ვიდრე დილას გადაიფენდე,
მე გამჭვირვალე სულში მინდა ჩაგხედო, ცაო!

ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲜ!

მტერი თუ გაქებს, მოიძიე, რა შეცდომა დაუშვი!
ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ

როცა გაქებს,
წასულია შენი საქმე
და მტრის წისქვილს
აფქვევინებ მარტოოდენ.
თუ გაცოფდა,
ეს ნიშნავს, რომ მკვიდრად დგახარ,
ვერ მიყავხარ,
რომ სურს ჩაგფლას, იმ ხარომდე...
ის მტვერია
და თუ მართავს ისტერიას,
შენზე ქება მისწვდენია...
გიხაროდენ, გიხაროდენ!

ᲮᲔᲚᲣᲙᲣᲦᲛᲐ ᲜᲐᲗᲔᲡᲘ

მოსამართლედ თუ ნიშნავ ნათესავს,
იმას მოიმკი, რასაც დათესავ,
როცა სკამიდან გიწევს ათესვა!

ᲛᲝᲡᲧᲘᲓᲣᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲛᲘ

ქვეყნისათვის სანაწერო
სხვის საამოდ როგორ წეროს,
იცის წერომ, ბოზანკალა წერომ
და ამიტომ „ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲝᲑᲡ“
და ამიტომ „ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲡ“;
ვაჰმე, კალმის წვერო!

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ?

ᲛᲐᲕᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ
ᲜᲔᲑᲐᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ
ᲣᲤᲘᲤᲠᲐᲓ ᲣᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲑᲡ, ᲕᲘᲜ ᲛᲝᲮᲡᲜᲐᲡ ᲓᲐ
ᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲕᲘᲜ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲝᲡ.

უცნაურობის თუმცა ხშირად ვხდები მნახველი,
მაინც მაოცებს, კაცთა შორის არგასამხელი
„არამკითხე“ რომ ვინმეს კადრებს
„ხალხის სახელით“:
„რად არ გადადექ, რად არ წახველი?“
სიკეთის გზაზე ეს
ცხოვრება რადგან ხიდია,
იაროს ყველამ, თუ სული
არ გაუყიდია,
ოღონდ აგვიხსნას,
მიუწვდება ვისთან რა ხელი,
როცა საუბრობს ხალხის
სახელით?

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ,
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ

დონარა სალაძე, რეზო, ირაკლი ჩაგელიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, ყოველმხრივ ლამაზი ქართველი, აკადემიკოსი

ᲨᲝᲗᲐ ᲭᲐᲚᲐᲒᲐᲜᲘᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის სატყეო-სამეცნიერო განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი

ᲨᲝᲗᲐ ᲭᲐᲚᲐᲒᲐᲜᲘᲫᲔ

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყებიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება — ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს თანამშრომლის

ᲨᲝᲗᲐ ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲐᲨᲘ, ᲮᲕᲘᲚᲘᲨᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ 6 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲓᲐᲔᲯᲐᲮᲐ

ᲗᲕᲘᲗᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ინფორმაციით, ბავშვი მშობლებმა ეკლესიაში მოსანათლად მიიყვანეს. ისინი წირვის დასრულებას ელოდებოდნენ, რა დროსაც ბავშვმა გზაზე გადაირბინა და მანქანა დაეჯახა.

მძღოლი ადგილიდან არ მიმალულა, მან ბავშვი ასპინძის საავადმყოფოში გადაიყვანა. ასპინძის საავადმყოფოდან კატასტროფის ბრიგადამ ბავშვი თბილისში, კომპიუტერული გამოკვლევისთვის გადმოიყვანა. ექიმების განცხადებით, პატარას მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა, მას ტვინის შერყევა აქვს.

ᲓᲝᲓᲝ ᲒᲣᲒᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲖᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲬᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲩᲐᲔᲠᲗᲕᲔᲑᲘᲐᲜ

ᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲘᲡ პოლკოვნიკის დოდო გუგეშაშვილის თქმით, მასზე თავდასხმასა და მისი შვილის მკვლელობის საქმის გამოძიების პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტები— მაია ნიკოლეიშვილი და ზაზა ალთუნაშვილი ჩაერთვებიან. როგორც დოდო გუგეშაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მიმდინარე გამოძიება ერთ წრეზე ტრიალებს.

„ჩვენ ამ საქმეში ვრთავთ მაია ნიკოლეიშვილსა და ზაზა ალთუნაშვილს, როგორც დამოუკიდებელ ექსპერტებს, რომლებიც იმედია, რაიმე ახალს გვეტყვიან. მე ჯერჯერობით არ მაქვს საფუძველი ვისაუბრო, რომ რომელიმე დასკვნა არაკომპეტენტურია ან ამომწურავი არ არის, მაგრამ მაია ნიკოლეიშვილისა და ზაზა ალთუნაშვილის მაღალპროფესიონალური დონის გამო, იმედი მაქვს, რომ ისინი რაღაც ახალს მაინც აღმოაჩენენ საქმეში, რომელმაც შესაძლოა, გამოძიება ცოტა წინ წასწიოს. ახლა, სამწუხაროდ, ის ობიექტური მიზეზების გამო ერთ წრეზე ტრიალებს“, — აღნიშნა მან. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 7 თებერვალს დიღმის მასივში დოდო გუგეშაშვილის შვილი მოკლეს, თავად დოდო გუგეშაშვილი კი დაჭრეს.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲛᲘᲣᲡᲬᲠᲔᲡ!

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გაუპატიურების ბრალდებით, უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1995 წელს დაბადებული ა.ა. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 27 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში, თ.ტ-თან, მისსავე დროებით საცხოვრებელ ბინაში, სქესობრივი კავშირი იძულებით დაამყარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული შემთხვევიდან რამდენიმე საათში თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი ქვეყნის დატოვებას ცდილობდა.

ავსტრიაში ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნა!

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ქართული სათვისტომოს საკვირაო სკოლაში ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, ბესტსელერების ავტორმა, გამოჩენილმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი კეკელიძემ საჩუქრად ჩაუტანა საქართველოს სათვისტომოს როგორც კლასიკოსების, ასევე თანამედროვე მწერლების პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. საჩუქრებს დაემატა გიორგი კეკელიძის ფრიად საინტერესო ლექცია, რომელიც გადაიზარდა კითხვა-პასუხის საღამოში.

შეხვედრაზე ამავდროულად წარმოდგენილი იქნა ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების გამოფენა – „ჩვენ ვხატავთ აფხაზეთს“, რომელიც ალბომად გამოიცა. პროექტში ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ავსტრიაში მცხოვრები მოზარდებიც ჩართვნენ, რომლებმაც საკუთარი თვალით დანახული აფხაზეთი ფურცლებზე გააცოცხლეს.

რევაზ თოფურია

ფრიკეს გასაჭირი და გამოჯანმრთელება

ყველა ერის სამეფო დინასტიებში არიან ისეთი ხელმწიფენი, რომელთაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს თავიანთი ქვეყნების ისტორიაზე, ზოგჯერ კი მათ ფარგლებსაც გასცდნენ. რომანოვების დინასტიაში ერთ-ერთი ასეთი იყო „დიდად“ წოდებული დედოფალი ეკატერინე II.

იგი 1728 წლის 21 აპრილს გერმანიის ქალაქ შტეტინში დაიბადა. მშობლები ტკბებოდნენ თავიანთი ჯანმრთელი და მხიარული გოგონათი – პატარა უფლისწულს მოფერებით **ფრიკეს** ეძახდნენ.

ცხრა წლის ასაკში ბავშვს საშინელი ხველა აუტყდა, რის შედეგად მან სამი კვირა ციებცხელებაში გაატარა. როცა ფრიკე გამოჯანმრთელდა, აღმოჩნდა, რომ, როგორც მედიკოსებმა ჩაწერეს ავადმყოფობის ისტორიაში, **„მარჯვენა მხარი მარცხენაზე ზევით „აექაჩა“, ხერხემალი დაეკლაკნა, მარცხენა გვერდზე კი ღრმული გაუჩნდა“.** იმხანად ქალაქში ექიმი არ იყო და მის მაგივრობას მოქალაქეებს ჯალათი უწევდა: სამუშაოდან თავისუფალ დროს დამატებით შემოსავალს იგი იმით შოულობდა, რომ სახსრების ამოვარდნილობებსა და მოტეხილობებს მკურნალობდა.

ნაავადმყოფარი გოგონას დათვალიერების შემდეგ, მან ასეთი მკურნალობა დაუნიშნა: **ყოველ დილით 6 საათზე მსახური თავისი ნერწყვით უზელდა უფლისწულს მტკივან მხარს და ხერხემალს. გარდა ამისა, ჯალათმა გააკეთა საგანგებო შესახვევი და კორსეტი, რომელსაც ფრიკე მთელი დღე-ღამის განმავლობაში ატარებდა და მხოლოდ საცვლების გამოცვლისას იხსნიდა...** ასე გრძელდებოდა სამი წლის მანძილზე, რაც პატარა გოგონასთვის ნამდვილი ტანჯვა იყო, მაგრამ ჯალათის „რეცეპტმა“ და მკურნალობამ გასაოცარი შედეგი გამოიღო: ფრიკეს სხეულის ყველა დეფექტი უკვალოდ გაქრა!

არადა, უფლისწული ფრიკე ტანმოღრეცილი რომ დარჩენილიყო, იგი ვერასდროს გახდებოდა რუსეთის ტახტის მემკვიდრის ცოლი და შემდგომ, იმპერატრიცა. შედეგად, სხვა იქნებოდა რუსეთის ბედიც და, და როგორც ჩანს, კავკასიელი ხალხებისაც...

ნინო ალექსანდრია

სუფთა ყურები

იმის მიუხედავად, რომ ყურებში გოგირდი გროვდება, მათი ბამბის ჩხირებით გამოწმენდა, ექიმოტოლარინგოლოგთა თქმით, სახიფათოა.

საერთოდაც, სპეციალისტების თქმით, ადამიანის ყურებს ზედმეტი ჰიგიენა არაფერში სჭირდება. გოგირდი ჭუჭყი არ არის, ამიტომ მისი საგულდაგულოდ გამოწმენდა, მით უმეტეს ბამბის ჩხირებით, საჭირო არ არის, რადგან ასეთი გამოწმენდის დროს გოგირდოვან მასას ყურის აპკისკენ ვტენით, რა დროსაც ის იტკეპნება. ეს კი ყურში გოგირდის საცობის წარმოშობას იწვევს, რომელიც უმჯობესია, ექიმმა ამოიღოს. როგორც წესი, ჯანმრთელ ყურში სასმენი აპარატის არხების თვითგაწმენდა ადამიანის ბუნებრივი მოქმედებების – ლაპარაკის, ღეჭვის, წამოხველების დროს ხდება.

ონკოდიაგნოსტი... ძაღლები

ფრანგმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ძაღლები ასპროცენტიანი ალბათობით ადგენენ მკერდის კიბოს.

ძაღლის ცხვირი 300 მილიონ რეცეპტორულ უჯრედს შეიცავს, ხოლო სარძევე ჯირკვლის კიბოს უჯრედებს სპეციფიკური სუნი აქვს, რომლებსაც ცხოველები გრძნობენ. ამ მეთოდის ეფექტიანობა 31 ჩატარებული ანალიზით დადასტურდა, ნიმუშებად კიბოთი დაავადებულ ქალთა მკერდის სახვევები იყო აღებული.

შეთავაზებული მეთოდიკა მარტივია და იაფი. მისი გამოყენება კი განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ ქვეყნებში, სადაც მამოგრაფიის მოწყობილობები არ არის.

არა - ხორცს!

ევროპაში ხორცის ჭამის უარმყოფელთა, ანუ ვეგეტარიანელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და ამ დიდ მოძრაობას სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი ადამიანები უერთდებიან. რეალობას და ტენდენციებს არც ავსტრიელი მოდელი ანა ჰუბერი ჩამორჩა, რომელმაც ოფიციალურად დაგმო ხორცისმჭამელობა და აღიარა ბოსტნეული.

პოდიუმის მშვენება ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე დიდი და ხარგრძლივი ფსიქოლოგიური პრობლემების გადალახვა დასჭირდა, რადგან მისთვის ადვილი არ ყოფილა ხორცის დაგმობა. მისი ოჯახი, თურმე სამშობლოში მეძეხვეობით არის განთქმული და მამამისი ძეხვის ფაბრიკას დღესაც ამუშავებს.

ანა ჰუბერი ავსტრიის დედაქალაქ ვენის გარეუბანში დაიბადა, გაიზარდა და სწორედ ამიტომაც იქაური არცთუ მრავლისშემძლე კლუბის „აუსტრიას“ დიდი ქომაგიცაა. ვენელ ფეხბურთელებს ანა ჰუბერი საქომაგოდ სხვა ქვეყანაშიც კი გაჰყოლია და ეს ყველაფერი მოდელს ნამეტნავად ეამაყება. სიყვარული კი ისეთი რამაა, მოგეხსენებათ, ძეხვის უარყოფის შემდეგაც გრძელდება.



ამირან ერაძის ნახატი

– რა ხდება, შვილო ფრონტის ხაზზე?
– რომელი ფრონტი, ბაბუ, ომი რა ხანია დამთავრდა.
– აბა რას აცხადებენ, გერმანელებმა შეტევა განაახლესო?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

სრ

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5712; ევრო - 2.9849;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3019;
100 რუბლი - 3.9028; თურქული ლირა - 0.4247;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5116;
1000 სომხური დრამი - 5.3300.

ამინდი 30 აგვისტოსთვის

ამოსავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე +18,	დღე +34
მთიანი რაიონები -	ღამე +11,	დღე +33

დასავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე +20,	დღე +35
მთიანი რაიონები -	ღამე +18,	დღე +34
თბილისი:	ღამე +21,	დღე +32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge